ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 23 ივლისი 2002 №135 (1657) | ფასი 50 თეთრი


## ცქიტიშვილმა დენვერს ხელიც მოუწერა და ხელიც შეაშველა

### სამწლიანი დენვერელობა ნიკამ 16 ქულით დაიწყო



„იეს!" — იტყოდა ნიკა ცქიტიშვილი უკვე მეორედ: წარმატებული დრაფტის შემდეგ ქართველი კალათბურთელი, ფაქტობრივად, ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ჯარისკაცი იყო, რჩებოდა მხოლოდ მილიონი დოლარის მირთმევა იტალიური „ბენეტონისთვის", რომელმაც დათმო ქართველი და მასზე უფლებები. ეს პროცედურა არც ძალიან დიდხანს გაჯანჯლდა, საბუთების გაგზავნა-გამოგზავნას ერთი კვირა დასჭირდა და როგორც იქნა, „დენვერი" და ცქიტიშვილი სამწლიანმა კონტრაქტმა შეაკავშირა.

ალბათ საქმის სასიკეთოდ გასრულება იყო მთავარი მიზეზი იმ თუხთუხისა, რომელიც ცქიტიშვილმა თავის პირველსავე დენვერულ თამაშში ატეხა. სოლტ ლეიკ სიტიში საზაფხულო ლიგაა გახურებული, რომელშიც ნბა-ს მზის ქვეშ ადგილის პოვნის მსურველები ცდიან ძალებს და არა შაკილ ონილი. „იუტა ჯაზის" კალათში ქართველმა ყარა სამ, ორ და ცალქულიანებიც, სულ 16 ქულა დაუგროვდა და ეს იყო საუკეთესო შედეგი იმ თამაშში.

კარგად დაწყებას გაუმაჯოს!



REUTERS

## ხმელეთის მეფე ისტორიაში ხუთოსანია

კვირას მოხდა ის, რასაც მთელი საფორმულო სამყარო, განსაკუთრებით კი მიხაელ შუმახერისა და „ფერარის" ურიცხვი ფანები ასე მოუთმენლად ელოდნენ.

21 ივლისს საფრანგეთში, მანი კურის ავტოდრომზე ფორმულა 1-ის მეორე ხუთგზის ჩემპიონი დაიბადა: შუმახერმა საათნახევრიანი ბრძოლა მისთვის ჩვეული დიდოსტატური, უშეცდომო, ბრწყინვალე სტილით წარმართა და წლეულს უკვე მერვე ეტაპის მოგებით ვადამდე ექვსი რბოლით ადრე მიუწვდომელი გახდა მეტოქეთათვის. დიდმა გერმანელმა ლეგენდარული არგენტინელის ხუან მანუელ ფანხიოს 45 წლის წინანდელი ფანტასტიკური მიღწევა გაიმეორა. წითელი ბარონი ამიერიდან სამივე უმთავრესი საფორმულო რეკორდის ავტორ-თანაავტორია: ტიტულებს ფანხიოსთან ერთად იყოფს, ხოლო მოგებული ეტაპებისა და ქულების ისეთი არანორმალური რაოდენობა დაუგროვდა, მისი ჯობნა წარმოუდგენელია და ამ მიღწევებს, შეიძლება ითქვას, სამუდამო სიცოცხლეც გარანტირებული აქვთ.

თუმცა, ვინ იცის, იქნებ სხვა ფანხიო, ან შუმახერი გამოჩნდეს.

# კაპიკია რივალდოს ფასი

პანლური რივალდოს — ასე შეაფასა ესპანურმა „მარკამ" რივალდოსა და „ბარსელონას" გაყრის ამბავი და კლუბს ფეხბურთელისადმი უმადურობა დასწამა. არადა, რივალდო, მოგეხსენებათ, ის ფეხბურთელია, ყველა მის შეძენაზე რომ ოცნებობს, ფული კი არავის ჰყოფნიდა და აგერ, „ბარსელონამ" ბრაზილიელს კონტრაქტი გაუწყვიტა, ანუ თავისუფალ აგენტად, მუქთად გადასაბირებელ ფეხბურთელად აქცია. ასეთი რამეები კი უმიზეზოდ არ ხდება.

— ლუის ვან გაალს რივალდო, რა ხანია, ათვალწუნებული ჰყავს და ხუან როკელმეს ყიდვის მერე მისი გაშვების საბაბიც მიეცა.

— რივალდოს „ბარსასთან" კონტრაქტი ერთ წელიწადში ისედაც უმთავრდებოდა და მერე მაინც მუქთად უნდა შელეოდნენ. ახლა გაშვებით კი კლუბმა ბრაზილიელის წლიური ხელფასი, 7,5 მილიონი დოლარი დაზოგა.

— როკელმეს ყიდვით კატალონიელებმა არაევროკავშირელთა ლიმიტს გადააჭარბეს. ნორმაში ჩასატევად კი მათგან ყველაზე მხცოვანი გაიმეტეს.

ჯერჯერობით ამ სამი ვერსიიდან გვაქვს ასარჩევად საქმე, რივალდო კი ვინძლო, არ დაიკარგოს და სადაც მოისურვებს, იქ გადავიდეს, ვგევ, „რეალშიც"-

ამასობაში „მანჩესტერმა", როგორც იქნა, მოიხელთა რიო ფერდინანდი. „ლიდსმა" ფერდინანდთა ოჯახის შეტევას და მრავალმილიონიან ცდუნებას გაუძლო და ზედმეტ ასი ათასს ვეღარ გაუძლიანდა. ამგვარად, რიო ფერდინანდი, თავისი 29,1 მილიონგირვანქიანი ტრანსფერით გახდა სეზონის უძვირესი ფეხბურთელი და ყველა დროის უძვირესი მცველი.

და ეს მოხდა წლევანდელ მკვდარ სატრანსფერო სეზონში.



REUTERS

გუშინდლიდან მანჩესტერელი რიო ფერდინანდი მსოფლიოს უძვირესი მცველია



REUTERS

ლუის ვან გაალის ახალ „ბარსელონაში" რივალდოს ადგილი არ მოიძებნა

# გოლს მოჰყვება ბოლი

## ჩუხრიმ ბაზა დააფასა



მერაბ ჟორდანია სასამართლოს განაჩენს ელის

**ფიფას** ფინანსური დახმარების წყალობით საქართველოს ნაკრებ გუნდებს წლის ბოლოს საკუთარი კეთილმოწყობილი ბაზა ექნებათ. პროგრამა „გოლი", რომელიც მსოფლიოს 112 ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ფინანსურ მხარდაჭერას ითვალისწინებს, ოთხი წლის წინ შევიდა ძალაში. ამ პროექტის ერთ-ერთმა კურატორმა ვალერი ჩუხრიმ გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში საპრესკონფერენციოდ გვიწვია. მოსკოველი სტუმარი სომხეთის გავლით ჩამობრძანდა საქართველოში. ნაკრების ბაზის მშენებლობა მოიწონა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას გარჯა და მიზანმიმართულობა შეუქო, აქ ნანახს ხელმძღვანელებსაც მოვახსენებო და ნახევარ საათში დაგვემშვიდობა.

— პროექტის პირველი ეტაპი, შემიძლია, თამამად ვთქვა, წარმატებით განხორციელდა. პროგრამა „გოლის" მოსკოვის ოფისი ყოფილი საბჭოთა კავშირის 14 რესპუბლიკას აერთიანებს. უკრაინის გარდა ყველა ფეხბურთის ფედერაციამ გარკვეული ფინანსური დახმარება მიიღო. უკრაინელთა ინტერესებს პროექტის მეორე ნაწილში გავითვალისწინებთ. ვფიქრობ, ამ პროგრამის განხორციელებით ფიფამ ფეხბურთის განვითარებისთვის ნაყოფიერად ილვაწა.

ჩვენ კმაყოფილები ვართ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობით, ამიტომ, გპირდებით, რომ ქართული ფეხბურთს არც პროექტის მეორე ეტაპზე დავივიწყებთ.

ნოემბერში პროგრამის ახალი სხდომა ჩატარდება. ჯერ არ ვიცით, რა რაოდენობის თანხა გამოიყოფა „გოლისთვის", ამიტომ ახლა ვერ მოგახსენებთ, რა ოდენობის დახმარება ექნება ქართულ ფედერაციას.

თქვენი ბაზის კეთილმოწყობა დეკემბერში დასრულდება, მაგრამ გახსნის ცერემონიალი, როგორც ვიცი, გაზაფხულზე, მარტშია დაგეგმილი. ვეცდები, იმ დღეს თბილისში ფიფას თავკაცი იოზეფ ბლატერიც იყოს.

სფფ-ს პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ რამდენიმეწუთიანი პაუზით ისარგებლა და ვალერი ჩუხრის არ დაუმალა, ბლატერისგან თბილისში ჩამობრძანების წინასწარი თანხმობა უკვე მიღებული მაქვსო.

— ფიფას მიერ გამოყოფილ 400 ათასს თქვენმა ფედერაციამ 100 ათასიც დაამატა და ბაზაც იმ ფულით შენდება. არის კიდევ სხვა პროგრამებიც, რომელიც 260-ათასიან დახმარებას ითვალისწინებს.

პროგრამა „გოლის" გარდა, არსებობს პროექტი „ბოლიც", რომელსაც ფიფა „ადიდასთან" ერთად ახორციელებს. სფფ დაახლოებით 300-500 ცალ იმ ბურთებს მიიღებს, რითაც მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშობდნენ.

ვალერი ჩუხრის რომ ვუსმენდით, სულ ფიფას ლოცვა-კურთხევაში კი ვიყავით, მაგრამ ერთმა კითხვამ მაინც შეგვაწუხა. ყველასთვის ცნობილია, ბლატერის იმპერია ფინანსურად მთლად წელგამართულად რომ ვერ დგას და ეს სფფ-ს დარ ფედერაციებს დახმარებას ხომ არ შეუმცირებსო.

— ფიფას თავისი პროექტების განხორციელება არ გაუჭირდება. შესაძლოა პირველ ხანებში ფინანსური დახმარებები ადრინდელივით შთამბეჭდავი ვერ იყოს, მაგრამ საბოლოოდ, მომდევნო ოთხ წელიწადში, ყველაფერი ძველებურ კალაპოტს დაუბრუნდება.

ვალერი ჩუხრიმ ფიფაში დაწებულ რეორგანიზაციაზე, მსოფლიოს ჩემპიონატზეც ილაპარაკა და თბილისური ხვატით შეწუხებულმა შვებით ამოისუნთქა.

მერაბ ჟორდანიამ კი გვაუწყა, 19 აგვისტოს, სფფ-ს ახალი ოფისის გახსნის ცერემონიალზე უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი გვეწვევაო. უეფადან მიღებული ცნობის თანახმად, უეფას თავკაცი თბილისში 19 აგვისტოს სამი დღით ჩამობრძანდება. საქართველოში სამი დღით იუჰანსონის სტუმრობა პატარა ამბავი არ უნდა იყოს, თუმც ფედერაციის თავკაცები თურქეთში ეროვნული გუნდის თამაშს, ალბათ, ვერ დაესწრებიან. ახალგაზრდულზე კი უკვე ჩაიქნიეს ხელი.

გუშინდელ სასამართლო პროცესზე კი მერაბ ჟორდანიამ კომენტარისგან თავი შეიკავა. განაჩენის გამოცხადების შემდეგ არ დაგზარდებითო, გვითხრა სფფ-ს თავკაცმა და ფედერაციაში სადღეისოდ მიგვიპატიჟა. „ერთხელ განვაცხადე და კიდევ ვიმეორებ, 24 აგვისტოს ყრილობა ალმასკომის მიერ დამტიცებული დღის წესრიგის და საარჩევნო წესის მიხედვით ჩატარდება" — ჯერჯერობით შეუვალია ჟორდანია.

**მამუკა ქვანტალიანი**

ერთადერთი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ფეხბურთში, გელა კეტაშვილი გუშინ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს აღშფოთებული მიადგა სხვა ვეტერანებთან ერთად და თავის პოზიციის დაფიქსირებას ცდილობდა. გელა კეტაშვილი, რომელიც ოლიმპიურ ოქროს 1988 წელს სეულში დაეუფლა, ითხოვს, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მეოთხე ყრილობაზე ხმის უფლება ჰქონდეს. აქედან გამომდინარე კი აცხადებს, ხუთი რაა, ვეტერანთა კავშირი ორ ამდენ მანდატსაც იმსახურებსო. შეგახსენებთ, ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატმა დავით პეტრიაშვილმა ფედერაციისვე ალმასკომი საარჩევნო ხმების არასწორად განაწილებაში დაადანაშაულა და ვეტერანთათვის მანდატების შემცირებას სასამართლოს დახმარებით ცდილობს.

სწორედ კანდიდატის სარჩელმა, უფრო სწორად კი იმან, რომ ვეტერანებს საკმარისი ხმები არა აქვთ, გაალიზიანა გელა კეტაშვილი, რომელსაც გუშინვე შევხვდით და ინტერვიუ ვთხოვეთ

# მომეცით ხმა, ოლიმპიური ჩემპიონი ვარ!

## ვეტერანებს კეტაშვილი დაავიწყდათ და სასამართლოში გაიყოლეს



— ხალხმა, ქართული ფეხბურთის უბრალო ქომაგმა განსაჯოს, ეკუთვნის თუ არა ერთადერთ ოლიმპიურ ჩემპიონ ფეხბურთელს ფედერაციის ყრილობაზე მანდატი. ვფიქრობ, ხმის უფლება და ჩემი არჩევანის უფლება უნდა მქონდეს — ამბობს აღშფოთებული კეტაშვილი — მე დავიმსახურე ერთი ხმა, თუმც განზე დამტოვეს. რვა წელიწადია, ვითმენ, არაფერს ვამბობ, დიდებისა და სახელის მეტი ხომ ქართული ფეხბურთისთვის არაფერი მომიტანია.

**— ეგ გასაგებია, მაგრამ სასამართლოში რატომ იყავით, იქ მიიღებთ მანდატს? ვეტერანთა კავშირში გაგეპროტესტებინათ მათივე გადაწყვეტილება.**

— ვესაუბრე კავშირის თავმჯდომარეს ვლადიმერ ელოშვილსა და მის მოადგილე მიხეილ ჯოჯუას. მათ მითხრეს, მანდატების განაწილებისას გამოგვრჩი და ამ საკითხის განხილვას კატეგორიულად მოვითხოვთ ალმასკომის უახლოეს სხდომაზეო.

**— სასამართლოსგან რაღას ითხოვთ?**

— ვეტერანთა კავშირს კი არ შეუმცირდეს, პირიქით, გაეზარდოს მანდატების რაოდენობა და საერთოდ ვფიქრობ, ფედერაციის პრეზიდენტი სწორედ იმ ხალხმა უნდა აირჩიოს, ვინც დღემდე მოიტანა ქართული ფეხბურთი. ვის მხრებზეც გადაიარა ჩვენი ფეხბურთის ჭირ-ვარამმა.

**— გაქვთ იმედი, რომ ალმასკომი გაარჩევს ამ ამბავს და მით უფრო, თქვენს მოთხოვნას დააკმაყოფილებს?**

— უნდა დააკმაყოფილონ. მიპასუხეთ, არის საქართველოში ოლიმპიური ჩემპიონი სხვა ფეხბურთელი?

**— ამიტომ ფიქრობთ, რომ მანდატს იმსახურებთ?**

— დიახ, მე ოლიმპიური ჩემპიონი ვარ და ხმის უფლება უნდა მქონდეს.

**— ვთქვათ, ალმასკომმა თქვენი მოთხოვნა უყურადღებოდ დატოვა...**

— დიდი იმედი მაქვს, რომ ასე არ იქნება.

**— თქვენი მოთხოვნა პრეზიდენტობის კანდიდატებს გააცანით?**

— მერაბ ჟორდანია, ფედერაციის ამჟამინდელი პრეზიდენტი, ისედაც იქნება საქმის კურსში, დანარჩენებთან შეხვედრას კი არ მგონია, რაიმე აზრი ჰქონდეს.

**— თუ საიდუმლო არ არის, იქნებ ისიც გვითხრათ, რომელი პრეზიდენტობის კანდიდატისთვის ითხოვთ ხმის უფლებას?**

— საიდუმლოა. ეს თუ ვთქვი, მანდატის მოთხოვნას რა აზრი აქვს.

**— ფედერაციის ყრილობისგან რას ელით?**

— ქართულ ფეხბურთში სასიკეთო ცვლილებებს. ახლა ამაზე დაწვრილებით ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. დღესდღეობით ჩემთვის მთავარი ხმის უფლებაა, თავს დაჩაგრულად ვგრძნობ.

**კობა ინასარიძე**

# უფროსი მწვრთნელად, უმცროსი უფროსად

## ლოკომოტივს ერთი მემანქანე წაიყვანს

**სულ რამდენიმე** დღეა, თბილისური „ლოკომოტივი" ბულგარული შეკრებიდან დაბრუნდა, დედაქალაქში ორიოდ ვარჯიშის ჩატარება მოასწრო და კლუბის თავკაცებმა ახალი ამბები აუწყეს მწვრთნელ-ფეხბურთელებს.

რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა ვიცე-ჩემპიონთა დამრიგებლები გუშინ სათათბიროდ იწვიეს და თავიანთი გადაწყვეტილებაც გააცნეს. გუშინს აქეთ „ლოკომოტივში" ერთმმართველობა დამყარდა, გუნდის მესაჭის პოსტი სერგო კოტრიკაძეს ჩააბარეს, რომელსაც ზაურ სვანაძე და თემურ ჩხაიძე დაეხმარებიან.

აქამდე ვიცე-ჩემპიონებს თანაბარი უფლებებით სერგო კოტრიკაძე და გია ჯიშკარიანი ერთად წვრთნიდნენ. ჯიშკარიანი „ლოკომოტივიდან" არსად წასულა. მეცამეტე ჩემპიონატში ვერცხლის მედლების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი ძველ თანამდებობაზე, გუნდის უფროსად გადაიყვანეს.

სერგო კოტრიკაძე „ლოკომოტივს" 1997 წელსაც თავკაცობდა. 30 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე რკინიგზელები მისი მითითებით ვარჯიშობდნენ. მერე ქართული ფეხბურთის ვეტერანმა „ვიტ ჯორჯიას" მიაშურა, სადაც დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის პირველი ტიტული, ვერცხლის მედალი მოიხვეჭა. „ვიტ ჯორჯიადან" ისევ „ლოკომოტივში" დაბრუნდა და გასულ სეზონში მიღწევა გაიმეორა.



სერგო კოტრიკაძე



გია ჯიშკარიანი

ეს რაც შეეხება ვიცე-ჩემპიონთა გენშტაბში მომხდარ ცვლილებებს. სიახლეა თავად გუნდშიც. „ლოკომოტივს" ორწლიანი განშორების შემდეგ ცენტრალური ნახევარმცველი გივი კვარაცხელია დაუბრუნდა. რკინიგზელებმა ყოფილი მოთამაშე რიგის „სკონტოსგან" ერთი წლით, იჯარის წესით ინათხოვრეს. კვარაცხელია გასულ ჩემპიონატის დასკვნით ეტაპიდან „ტორპედოში" თამაშობდა. ალექსანდრ შტელინის გუნდში მან საამსეზონოდაც დაიწყო ვარჯიში, მაგრამ ქუთაისში დარჩენა აღარ ისურვა და დედაქალაქში ჩამოსულმა „ლოკომოტივს" მიაკითხა.

**მამუკა ქვანტალიანი**

# გაბელიამ მერანი შეკაზმა

**„მერანის"** მრავალჭირგამოვლილმა თავკაცმა ოთარ გაბელიამ, შეიძლება ვთქვათ, ავჭალური გუნდის საახალსეზონოდ დაკომპლექტება დაასრულა. წამსვლელებმა თავისი გზა ნახეს, ახალწვეულები „სინათლეზე" ვარჯიშობენ და დღე-დღეზე შეკრებაზე გასამგზავრებლად ემზადებიან.

მეცამეტე ჩემპიონატის შემდეგ ავჭალას ხუთმა ფეხბურთელმა უგანა. ფორვარდების, კონსტანტინე მეტრეველის და აკაკი კაკაშვილის გზა-კვალი ჯერაც უცნობია, ხოლო მცველებმა რომეო გოგიტაძემ და ზაზა კვეკვესკირმა თემურ მახარაძის „სიონსა" მიაშურეს.

„მერანმა" ყველაზე დიდი დანაკლისი გუშინ განიცადა. ნახევარმცველმა დავით ბოლქვაძემ ავჭალაში ბურთაობას და მუდმივ ფინანსურ სიდუხჭირეს „ვიტ ჯორჯიაში" თამაში და სტაბილური პირობები არჩია. ბოლქვაძემ ვეტერინარებს ორწლიან კონტრაქტზე მოუწერა ხელი.

ახალწვეულთა ვინაობაც საბოლოოდ გარკვეულია. ოთხივეს თავის დროზე თსუ-„ვიტ ჯორჯიას" საფეხბურთო სკოლა გაუვლია. ძველი ნასტუდენტარია ფორვარდი გრიგოლ გვაზავა, წინა სეზონში თსუ-ს მაისურით თამაშობდნენ ნახევარმცველი მიხეილ მესხი და თავდამსხმელი ბექა ნოზაძე. ვეტერინარი იყო შემტევი ნიკა თუთარაშვილი, რომელმაც „ვიტ ჯორჯიაში" ერთი თამაში ჩაატარა, მერე კი ყოფილი დინამოელი ტრავმის გამო სასურველ ფორმაში ვეღარ იყო.

ოთარ გაბელიას გუნდში რამდენიმე გამოუცდელი მოთამაშეც დაუტოვებია. ისინი ყოფილი „გოლეადორის" თბილისში დარჩენილი ახალგაზრდები არიან და მათი ბედი ცოტა მოგვიანებით გაირკვევა.

რაც შეეხება კლუბის ახალ სპონსორს, ოფიციალურად ის ჯერაც არ გამოჩენილა. ანზორ მამალაძე ისევ ეულად ცდილობს „მერანის" ფინანსური პრობლემების მოგვარებას, თუმც უიმედოდაც არ არის და ხმამაღლა აცხადებს, სულ მალე ავჭალას შეძლებული პატრონი ეყოლებაო.

მამალაძის თქმით, ოთხშაბათს „მერანი" აუცილებლად წავა შეკრებაზე ქობულეთში ან ყვარელნარში ცხრა დღეს იდენ ოფლს ფეხბურთელებიო. თუ ეს საქმე გამოვიდა, მაშინ „მერანი" თბილისში 2 აგვისტოს, ჩემპიონატის განახლებამდე ერთი დღით ადრე დაბრუნდება

**მამუკა ქვანტალიანი**

| 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი |
| --- |
| B ჯგუფი. I ტური |
| ინგლისი 3:3 გერმანია |
| ბელგია 1:2 ირლანდია |

| შვედეთი |
| --- |
| XI ტური |
| ჰალმსტადი 1:1 აიკ |
| ელფსბორგი 2:2 ნორჩეპინგი |
| იორებრო 2:1 ჰამარბი |

| ნორვეგია |
| --- |
| XV ტური |
| რუსენბორგი 0:2 ვიკინგი |

| ფინეთი |
| --- |
| XVI ტური |
| ჰააცინლინა 0:1 ჰიკ |

# ჩემპიონთა ლიგა

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

ტორსჰავნი. 24 ივლისი.

## B36 ტორსჰავენი — ტორპედო

პირველი მატჩი 2:5

# ჩვენი ხარ, გივი!

## ტორპედო ფარერებიდან პრაღაში შეივლის

*ხვალ ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩების დღეა და ჩვენი ჩემპიონი „ტორპედო" ფარერის კუნძულების „B36 ტორსჰავენს" სტუმრობს. წინა ოთხშაბათს ქუთაისურ შეხვედრაში მეტოქესთან დიდი ანგარიშით (5:2) გამარჯვებით ტორპედოელებმა სერიოზული განაცხადი გააკეთეს შემდგომ ეტაპზე გასასვლელად. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია, რომ ქუთაისელებს ხვალ სამოყვარულო გუნდთან ისე გაუჭირდეთ, სამბურთიანი უპირატესობა გაფლანგონ*



გივი დიდავას (მარჯვნივ) ებრაელებმა „ტორპედოში" თამაშის ნება დართეს

**ტორპედოელები** გუშინ დილაადრიან აიბარგნენ სალორიის ბაზიდან. ბათუმამდე მათ საკუთარი „ლაფით" იმგზავრეს, რის შემდეგაც სამი გადაფრენა უწევდათ: ბათუმი-სტამბოლი, სტამბოლი-კოპენჰაგენი, კოპენჰაგენი-ფარერები. კუნძულებზე ჩაფრენილ ჩვენებურთ ტორსჰავენამდე ორი საათი გემით და ამდენივე დრო ავტობუსით ჰქონდათ სამგზავრო. ერთი სიტყვით, ქუთაისელებს ამ დილით უნდა ჩაეღწიათ დანიშნულების ადგილზე.

ფარერის კუნძულებზე გამგზავრებულ „ტორპედოს" 24-კაციან დელეგაციაში ესენი არიან: *კლუბის ვიცე-პრეზიდენტი შედან ნანიკაშვილი, გენერალური დირექტორი მურად ქუთათელაძე, მთავარი მწვრთნელი ალექსანდრე შტელინი და მისი ორი ასისტენტი, სოსო ფრუიძე და ნოდარ ჭელიძე ექიმი დავით ჭავჭანიძე, მასაჟისტი თამაზ რონიმშვილი და 17 ფეხბურთელი: მეკარეები — ზვიად სტურუა, გრიგოლ ჭანტურია; მცველები — მიხეილ მახვილაძე, ვახტანგ აკოფიანი, ლაშა ჭელიძე, გივი დიდავა, რევაზ ქემოკლიძე, დავით გამეზარდაშვილი; ნახევარმცველები — კახა კვეტენაძე, ვალტერ გუჩუა, მალხაზ ასათიანი, რომან ახალკაცი, ზურაბ იონანიძე; თავდამსხმელები — დავით ჯანაშია, ანდრი პორომინი, ზვიად ქუთათელაძე, გაგა ჩხეტიანი.*

„B36"-თან პირველი მატჩის საგანაცხადო სიიდან „ტორპედოს" ორი მოთამაშე არ ახლავს — შოთა ბაბუნაშვილი, რომელმაც მეორე ტაიმში მუხლი იტკინა და სათადარიგო გიორგი სულაბერიძე. სამაგიეროდ, ტორპედოელებმა გივი დიდავა დაამატეს. თელ ავივის „მაკაბიმ", როგორც იქნა, ფეხბურთელს „ტორპედოში" თამაშის ნება დართო. დიდავას დროებითი ტრანსფერის დამადასტურებელი საბუთი გუშინ მიიღეს „ტორპედოს" თბილისურ ოფისში. აი, რა გვითხრა ამასთან დაკავშირებით **ვლადიმერ პანოვმა:**

— ებრაული კლუბი დიდხანს ყოყმანობდა დიდავას „ტორპედოში" საიჯარო ხელშეკრულების განახლებაზე, მაგრამ მაინც დათანხმდა ჩვენი პრეზიდენტის თხოვნას. სატრანსფერო თანხის ნაწილს „ტორპედო" ამ კვირაშივე გადაიხდის, დანარჩენს მოგვიანებით, სექტემბერში გაისტუმრებს. ებრაელ მხარესთან გარანტად სფფ დაგვიდგა. არ გამოვრიცხავთ, სექტემბერში დიდავა საბოლოოდ გამოვისყიდოთ „მაკაბიდან".

**— ისევ თქვენ უნდა გკითხოთ, „B36"-თან თამაშის შემდეგ რას აპირებს „ტორპედო"?**

— იმედია, სასწაული არ მოხდება და ჩვენი გუნდი ლიგის მეორე ეტაპზე გავა. იცით, აქ „ტორპედოს" მეტოქე ჩეხური „სპარტა" იქნება და პირველი მატჩი 31 ივლისს პრაღაში გაიმართება. „ტორპედოს" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ ფარერებიდან გუნდი პირდაპირ ჩეხეთს გაამგზავროს და წინასამატჩო სამზადისიც იქ გაიაროს. ასე უკეთესი იქნება.

**— გეთანხმებით. „ტორპედოს" არავინ დაემატება?**

— ცხადია, დაემატება. სევასტი თოდუა და შოთა ბაბუნაშვილი ტრავმებს მოიშუშებენ. ვახტანგ ხვადაგიანს დისკვალიფიკაციისა ვადა გასდის. სამივე ეს ფეხბურთელი პრაღაში შეუერთდება გუნდს. 25 ივლისისთვის გვაქვს დაჯავშნული ბილეთები.

**იუზა ძაძიტაძე** *ქუთაისიდან*

# სპარტამ თავი ქუთაისურად დაიცვა

**ქუთაისის „ტორპედო"** ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩში, ფარერულ „B36"-თან, ალბათ, თავს არ შეირცხვენს და მეორე ეტაპზეც ითამაშებს, სადაც მისი მეტოქე ჩეხური „სპარტა" იქნება. ამ უქმეებზე პრაღას ლიმასოლის აელ-ი ეწვია და „სპარტას" ამხანაგურად გაეჯიბრა. ამ ქვეყნებში ეროვნული ჩემპიონატები ჯერაც არ დაწყებულა და გუნდებიც ახალი სეზონისთვის გაცხოველებულ მზადებაში არიან, მაგრამ ყველა მაინც ჩეხების განავარდებას ელოდა, პირიქით კი მოხდა. კვიპროსელებმა მეტოქე თითქმის ყველა კომპონენტში დაჩაგრეს და ცოტა მეტი კლასი რომ ჰქონოდათ, დაამარცხებდნენ კიდეც, თუმც მათთვის არც ფრე (თანაც სტუმრად) უნდა იყოს ცუდი შედეგი.

თავიდან ყველაფერი „სპარტასთვის" სასიკეთოდ დაიწყო. მასპინძლები მცირე ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ, რაც 23-ე წუთზე დანიელ ცესარეცის მიერ გატანილ გოლში აისახა. ეს იყო და მოედანზე აელ-ი გაბატონდა. კვიპროსელებმა ჩეხთა დაცვა ნილონის ღელტასავით დაქსაქსეს და 78-ე წუთზე საპასუხო გოლიც მიართვეს. ლამბროს ლამბრუმ ტომის კრისოსტომუს პასი შეირგო, მეკარე იარომირ ბლაჟეკი იოლად მოატყუა და ცარიელი კარის დალაშქვრა არ გასჭირვებია — 1:1.

სტუმრებს დარჩენილ დროშიც შეეძლოთ ეხეირათ, თუმც არ გაუმართლათ და რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი განიავეს.

აქვე გეტყვით, რომ ლიმასოლის აელ-ში ორწლიანი შესვენების შემდეგ ქართველი ლევან მაღრაძე სულ რამდენიმე დღეა, დაბრუნდა. მაღრაძე წინა სეზონში „პაფოსში" თამაშობდა, მანამდე ლიმასოლის „არისში" იყო განათხოვრებული, „სპარტასთან" კი არ გამოჩენილა. თუმც შარშანდელი სეზონი აელ-ს უქართველოდ მაინც არ ჩაუტარებია — ლიმასოლელთა ღირსებას ბახვა ამბიძე იცავდა.

მატჩის შემდეგ „სპარტას" მწვრთნელის თანაშემწე იოზეფ პეშიჩი გაოგნებული იყო, ასეთი დაცვის იმედად მტერი იყოსო. სწორედ ის მოძღვრავდა ამ მატჩში შეგირდებს. „სპარტას" ახალი თავკაცი კი იოზეფ იარაბინსკია. მან ორიოდ თვის წინ გააფორმა გუნდთან ორწლიანი კონტრაქტი, თუმც „სპარტაში" მანამდეც უმუშავია და არცთუ ურიგოდ — 1989, 1990 და 1995 წლებში კლუბს ქვეყნის ჩემპიონობა მოაპოვებინა. 1995-96 წლების სეზონში კი ცუდი შედეგების გამო დაითხოვეს. იარაბინსკის ჩეხეთში მოგზაურ მწვრთნელად იცნობენ. მას თურქული, ბერძნული და ესპანური გუნდებიც გაუწვრთნია, ბოლოს ოსტრავას „ბანიკს" ედგა სათავეში.

იოზეფ პეშიჩმა აელ-თან ასეთი შემადგენლობა ათამაშა: *ბლაჟეკი — მინარი (ბარანეკი 76), ჰორაკი, აბანდა, შორლი — ჩიჟეკი, ფლახბარტი, ზაჯადილი, ცესარეცი — კინცლი (პოსპიშილი 46), ბაბნიჩი.*

არ უთამაშია ცნობილ ჩეხ ნახევარმცველ კარელ პობორსკის, რომელიც „სპარტას" იტალიური „ლაციოდან" დაუბრუნდა. მისი უთამაშებლობის მიზეზი უცნობია, თუმც სავარაუდოდ, პობორსკი მწვრთნელებმა დაასვენეს. „სპარტას" ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის კიდევ ერთი ფინალისტი, 33 წლის მეკარე პეტერ კოუბაც დაუბრუნდა. კოუბამ ესპანურ „დეპორტივოსა" და გერმანულ „კაიზერსლაუტერნში" ვოიაჟის შემდეგ მშობლიურ კლუბში თამაში გადაწყვიტა და, ალბათ, ქუთაისის „ტორპედოსთანაც" ვიხილავთ. მით უმეტეს, „სპარტამ" ძირითადი მეკარე პეტერ ჩეხი ამ ზაფხულს ფრანგულ „რენს" მიჰყიდა.



პეტერ კოუბა

**ბაჩა ზალამბერიძე**

# აღარც მიდლსბრო და აღარც პორტსმუთი

## რეხვიაშვილის ინგლისურ კარიერას ხელი ფეხმა შეუშალა

**ინგლისში,** სასინჯი მატჩების ჩასატარებლად მყოფი ალექსანდრე რეხვიაშვილი ხვალ უელსში ყოფილ გუნდს, რიგის „სკონტოს" შეუერთდება და ხვალვე ლატვიაში დაბრუნდება.

რეხვიშვილი, რომელსაც „სკონტოსთან" მეგობრობის მეტი უკვე აღარაფერი აკავშირებს, რიგიდან ათიოდ დღის წინ აიბარგა და ინგლისს ამავე ქვეყნის რომელიმე გუნდში კარიერის გაგრძელების იმედით ეწვია. ახლაღა გახდა ჩვენთვის ცნობილი, რომ ალეკო რეხვიაშვილით ინგლისის პირველი დივიზიონის „პორტსმუთი", „ვულვზი" და პრემიერლიგელები „ასტონ ვილა" და „მიდლსბრო" იყვნენ დაინტერესებულნი. ალეკოსთვის ფატალური გუშინწინდელი მატჩი გამოდგა „პორტსმუთის" შემადგენლობაში. ერთ-ერთ სათამაშო ეპიზოდში ის მასასვით ბრგე მეტოქეს ჰაერში შეეჯახა და მძიმედ დაშავდა. ქართველ ნახევარმცველს მუხლი შეუშუპდა და თამაშს ვინ ჩივის, სიარულიც კი უჭირს. „ახლა ისეთი დროა, ინგლისელები ჯანმრთელ უცხოელთა ყიდვას ერიდებიან და ტრავმირებული ვის რაში ვჭირდები. ძალიან გულნატკენი ვარ. ბედი არ მქონია. არადა, საქმეს ისეთი პირი უჩანდა, დღე-დღეზე კონტრაქტის გაფორმებას ველოდი, განსაკუთრებით „მიდლსბრო" და „პორტსმუთი" აქტიურობდნენ და არც თავად ვიყავი ამ გუნდებში თამაშის წინააღმდეგი".



ალექსანდრე რეხვიაშვილი

რეხვიაშვილისვე თქმით, ტრავმა იმდენად მძიმე ჩანს, რომ მკურნალობას ერთი თვე მაინც დასჭირდება და, შესაძლოა, 21 აგვისტოს თურქეთ — საქართველოს მატჩიც გამოტოვოს. ალეკოს მომავალი კლუბის ვინაობა ჯერ უცნობია, ის უახლოეს ხანს, ალბათ, ისევ რიგის „სკონტოში" გაატარებს.

**კობა ინასარიძე**

# შუშაკს ბრაზილიიდან კოსტარიკელი ჩაუყვანეს

## დარასელიას ყური ვერ აუწიეს

**გერმანიაში** მოსამზადებლად მყოფმა თბილისის „დინამომ" ამ უქმეებზე კიდევ ორი ამხანაგური მატჩი გამართა და ორჯერვე გაიმარჯვა. თბილისელები ჯერ მეორე ბუნდესლიგის „ვალდჰოფს" ესტუმრნენ და 34-ე წუთზე მასპინძელ ევლარდოს გატანილ გოლს ბურდულისა და დარასელიას გოლებით უპასუხეს. „დინამოს" შემადგენლობა ასეთი იყო: *გვარამაძე (ზოიძე 46); ვაშაკიძე (მიზიაშვილი 85), მიშიაშვილი, ამისულაშვილი (შავგულიძე 87); სახვაძე (კანდელაკი 46), ბურდული, ანჩაბაძე (კვირკველია 77), გოგობერიშვილი, კარლოსი (სამხარაძე 69); დარასელია (დევიდი 54), ბობოხიძე (მიქაძე 46).*

თბილისელებს როსტერში კიდევ ერთი უცხოელი შეემატათ. როგორც კლუბის პრეს ატაშე ლევან სალუქვაძემ წუხელ გვაცნობა, „დინამოში" გასასინჯად მყოფი 27 წლის დევიდი კოსტარიკელია, მაღალი, ჯანმაგარი და კარზე დაგეშილი თავდამსხმელი, იგი ბოლოს ბრაზილიაში თამაშობდა. სხვათა შორის, დევიდმა უკვე მოასწრო თავის გამოჩენა. ის „დინამოს" მწვრთნელმა იგო შუშაკმა ობერლიგის „ბრაკენჰაიმის" წინააღმდეგ 90 წუთი ათამაშა და კმაყოფილიც დარჩენილა. კოსტარიკელს ერთი გოლი გაუტანია და ათამდე რეალური საგოლე მომენტი გაუცუდებია. ეს მატჩი „დინამომ" სათადარიგო შემადგენლობით დაიწყო, 10 დაწინაურდა და საქმე ძირითადის ბიჭებსაც მისცეს. ნახევარ საათში კი გერმანელებს ოთხი უპასუხო გოლი ბურდულმა, ებანოიძემ და ორიც დარასელიამ მიართვეს. სხვათა შორის, შაბათს ვიტალი დარასელიას ქალიშვილი შეეძინა, რაც მამამ და მისმა თანაგუნდელებმა შუშაკის ნებართვით თითო ჭიქა ღვინითაც აღნიშნეს.

დღეს თბილისის „დინამო" ასევე ობერლიგის „გრიუნდს" გაეჯიბრება, ხვალ ღამით კი შინ დაბრუნდება.

**კობა ინასარიძე**



ვიტალი დარასელიამ (მარცხნივ) ქალიშვილის დაბადება გოლებით და ჭიქა ღვინით აღნიშნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაყრა

## რივალდოს ფიგურალური მომავალი






ლუის ვან გაალი (მარცხნივ) და რივალდო ერთ დროს ერთად ჩემპიონობას ზეიმობდნენ, ახლა კი, როგორც „მარკამ" დაწერა: „პანღური რივალდოს"

*დაიბადა 1972 წლის 19 აპრილს რესიფეში, ბრაზილია*

*1989: გააფორმა კონტრაქტი „სანტა კრუზთან"*

*1991: ჩაირიცხა ბრაზილიის პირველი დივიზიონის კლუბ „მოჟი მირიმში"*

*1993: გადავიდა „კორინთიანსში". მიიწვიეს ბრაზილიის ნაკრებში. მექსიკასთან სადებიუტო მატჩში გოლი გაიტანა*

*1994: გადავიდა „პალმეირასში" და გახდა ბრაზილიის ჩემპიონი. ნაკრების მწვრთნელმა კარლოს ალბერტო პარეირამ მსოფლიოს ჩემპიონატზე არ წაიყვანა*

*1996: „პალმეირასის" რიგებში მოიგო სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. გახდა ატლანტის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი და ზაფხულში ჩაირიცხა „დეპორტივო ლა კორუნიაში"*

*1997: გალისიურ კლუბში სეზონში 41 მატჩი ჩაატარა და 21 გოლი გაიტანა, აგვისტოში „ბარსელონამ" 26,7 მილიონ დოლარად იყიდა*

*1998: „ბარსელონამ" ესპანეთის ჩემპიონატი და ქვეყნის თასი მოიგო, რივალდომ 34 თამაშში 19 გოლი გაიტანა. საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველა მატჩი ჩაატარა და ვერცხლის პრიზიორი გახდა*

*1999: „ბარსელონას" რიგებში მეორედ გახდა ესპანეთის ჩემპიონი. ამჯერად 37 თამაშში 24 გოლი გაიტანა. მოიგო კოპა ამერიკა, თუმცა ტურნირისას ორჯერ გააძევეს მოედნიდან. ფიფასა და ჟურნალ „უორლდ სოკერის" ვერსიით, მსოფლიოს წლის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. ასევე პირველობა მოიპოვა „ფრანს ფუტბოლის" გამოკითხვაში და ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს*

*2000: ჩემპიონთა ლიგაში, სადაც „ბარსელონა" ნახევარფინალში გავიდა, 10 გოლი, ესპანეთის ჩემპიონატში კი 12 გოლი გაიტანა*

*2001: კატალონიურ კლუბში სეზონში 35 შეხვედრაში 23 გოლი გაიტანა. აქედან სეზონის ბოლო მატჩში ჰეთ თრიქი შეასრულა და „ბარსელონას" ჩემპიონთა ლიგის საგზური მოუპოვა*

*2002: სეზონში სულ 8 გოლი გაიტანა, მსოფლიოს ჩემპიონატზე 5-ჯერ დალაშქრა მეტოქის კარი და ჩემპიონი გახდა. თურქეთთან მატჩში არასპორტული საქციელისთვის 7 ათასი დოლარით დააჯარიმეს. „ბარსელონასთან" კონტრაქტის დასრულებამდე 1 წლით ადრე კლუბის ხელმძღვანელობამ თავისუფალი აგენტის სტატუსი მიანიჭა*

*„ბარსელონამ" რივალდო გაუშვა – ნადი სამსახური ეძებეო. 30 წლის მსოფლიოს ჩემპიონსა და კლუბის წარმომადგენლებს კვირას უსაუბრიათ და ზემოთთქმულზე შეთანხმებულან*

**„ორივე მხარეს** ეს ვარიანტი საუკეთესოდ მიაჩნია" — წერია კატალონიური კლუბის ვებ-გვერდზე, ოღონდ დაზუსტებული არ არის, რა ბედი ეწევა იმ თანხას, ძველი კონტრაქტით დარჩენილი ერთი წლის მანძილზე რივალდოს რომ უნდა მიეღო. ბუნებრივია, ამავე განცხადებაში კლუბი ფეხბურთელს ხუთწლიანი სამსახურისთვის დიდ მადლობას უხდის.

პირველი, რაც რივალდოს და „ბარსას" გაყრის შემდეგ ხალხს აზრად მოუვიდა, ბრაზილიელის „რეალში" გადასვლაზე ჭორაობა იყო. ამაზე „რეალმა" ბუნდოვანი კომენტარი გააკეთა, რივალდოს ყიდვა არ გვინდოდა, მაგრამ, რაკი უმუშევარია, თეორიულად ნურაფერს გამოვრიცხავთო. ისე კი, ამ ამბავში სიცხადის შესატანად კარგი იქნებოდა, რივალდოს და „ბარსელონას" ძველ კონტრაქტში ჩახედვა. არ არის გამორიცხული, იქ ეს ვარიანტი გათვალილი იყოს და ეწეროს, რომ გაყრის შემთხვევაში ფეხბურთელს ესპანეთის სხვა კლუბში გადასვლა ეკრძალება.

კატალონიური კლუბის პრესმდივანმა ხოსეპ მარია კორონასმა კი განაცხადა: „ჩვენს ქომაგებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ, რივალდო „რეალში" არ გადავა". ოღონდ, კორონასმა იქვე დასძინა, ეს ჩემი, როგორც ერთ-ერთი დირექტორის პირადი აზრიაო. თუმცა, ნუ ვინერვიულებთ, რივალდო, ალბათ, მალე მონახავს პატრონს, ჩვენ კი მანამდე გავიხსენოთ:

რივალდო „ბარსელონაში" 1997 წელს „დეპორტივოდან" გადავიდა და შემდეგ ორ სეზონში ესპანეთის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. თანაც, პირველად 19 გოლი გაიტანა, მეორედ — 24. წინა სეზონში მუხლი ეტკინა, ბევრი შეხვედრა გამოტოვა და როცა თამაშობდა, დიდი არაფერი უქნია, მაგრამ მსოფლიოს პირველობისთვის გამოჯანმრთელდა და ბრაზილიის ნაკრების ტრიუმფში წვლილი შეიტანა.

სხვა მხრივ, რას ნიშნავს რივალდოს „ბარსადან" წასვლა? ალბათ, იმას, რომ კლუბში დაბრუნებული ჰოლანდიელი მწვრთნელი ლუის ვან გაალი თავისუფლად იმუშავებს. წინა ჯერის მსგავსად მას არავინ ეტყვის, მარცხენა ფრთაზე თამაში არ მსურსო.

სხვათა შორის, როდესაც გაირკვა, რომ კატალონიაში ვან გაალი ბრუნდებოდა, რივალდომ განაცხადა, სადაც მეტყვის იქ ვითამაშებ, 1999 წლის მსგავსად არ მოვიქცევიო, მაგრამ ჰოლანდიელი, ეტყობა, მტკიცე გადაწყვეტილებით მოემართებოდა და ბოლო ხანს, რივალდომაც უფრო აგრესიული განცხადებების კეთებას მიჰყო ხელი.

დღეს, „ბარსა" ახალ ფეხბურთელებს იკრებს. კერძოდ, კლუბმა იყიდა არგენტინელი ხუან რომან რიკელმე, „ლაციოდან" მოდის გაისკა მენდიეტა და პლუს, რივალდოს გაშვებით „ბარსელონა" არაევროკავშირელი მოჯამაგირეების რაოდენობასაც არეგულირებს.

მაგრამ, ოჰ, ეს ყბადაღებული „ბარსა" და „რეალის" ურთიერთობა... „რეალმა" თავის ვებ-გვერდზე ასე დაწერა:

„ჩვენი კლუბი „ბარსელონაში" მიმდინარე პროცესებთან არაფერ შუაშია. ჩვენი სურვილი „რეალსა" და „ბარსელონას" შორის კარგი ურთიერთობების შენარჩუნებაა და ამიტომ ვადასტურებთ, როგორც „ბარსელონას", ასევე რივალდოს პატივისცემას."

თუმცა, გავიხედოთ და მსოფლიოს ჩემპიონმა სექტემბერში მართლა რომ თეთრი ფორმა მოირგოს? მერე, არ გინდა კატალონიელ ქომაგებს პასუხი გასცე? უწინ ფიგუ, ახლა რივალდო...

ფეხბურთელის გადაბირების სხვა მსურველები კი „ლაციო", მილანი" და „ნიუკასლი" არიან.

**ბაჩუნა ძიძია**



# მენდიეტა ბარსელონაში

**გადაწყდა,** მომავალ სეზონს „ლაციოსა" და ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველი გაისკა მენდიეტა „ბარსელონაში" გაატარებს.

კატალონიურმა კლუბმა გუშინ ოფიციალურად დაადასტურა ეს ინფორმაცია. შეგახსენებთ, რომ მენდიეტა „ვალენსიადან" „ლაციოში" შარშან გადავიდა. იტალიელებმა მასში 42 მილიონი დოლარი გადაიხადეს, მაგრამ თუ ქერათმიანი ბასკი 2003 წლამდე ესპანეთში დაბრუნდებოდა, მის ყოფილ კლუბს რომაელებისგან 12 მილიონი ევრო უნდა მიეღო.

მენდიეტამ აპენინებზე დიდი ვერაფრით გამოიჩინა თავი და მისი „ბარსელონაში" გადასვლის ამბავსაც თითქოს ეს პირობა აბრკოლებდა, თუმცა კლუბებს შინაურულად მოულაპარაკებიათ და მენდიეტასაც კატალონიისკენ გზა გაეხსნა.

პირადი კონტრაქტის გაფორმებამდე კი როგორც ფოტოზე ხედავთ, მენდიეტა „ბარსაში" სამედიცინო შემოწმებას გადის

**სოლომონ გულისაშვილი**

# თქვენი დიდი ხათრი მაქვსო, მაგრამ...

## პაოლო მალდინი ნაკრებს დაემშვიდობა

**„სკუადრა აძურას"** კაპიტანმა, 34 წლის პაოლო მალდინიმ, მწვრთნელ ჯოვანი ტრაპატონის თხოვნის მიუხედავად, მაინც გადაწყვიტა სანაკრებო კარიერის დამთავრება: „ძალიან დიდ ხანს ვიფიქრე და ვგონებ, მართებულადაც ვიქცევი. ძნელი სათქმელია, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დაწყებისას როგორ ფორმაში ვიქნები, ამიტომ სჯობს, ნაკრებს ახლავე დავემშვიდობო" — განაცხადა მალდინიმ, ვისაც თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდში ყველაზე მეტი, 126 მატჩი ჩაუტარებია.

ამბობენ, შესაძლოა, მალდინი „მონაკოში" გადავიდესო, სათავადოს პრინც ალბერს მისი გადაბირება თურმე ძალიან სურს, მაგრამ ფეხბურთელი ყოყმანობს: „კარიერის რაიმე გამარჯვებით დასრულება კარგია, მაგრამ „მონაკოში" ამ გამარჯვების მოლოდინში შეიძლება კიდევ რამდენიმე წელიწადი გავიდეს" — ასეთია ჯერაც მილანელის აზრი.

ტრაპატონის კი მალდინის წასვლით ახალი თავსატეხი გაუჩნდება. მას ხომ ხშირად უთქვამს, მალდინის დარი მარცხენა მცველი არ გვყავს და თუ წავიდა, მის ადგილზე უამრავი ფეხბურთელის შემოწმება მოგვიწევსო. 21 აგვისტოს ტრიესტში იტალიელები ამხანაგურად გაეჯიბრებიან სლოვენიას. მერე კი ევრო 2004-ის საკვალიფიკაციო ეტაპიც დაიწყება. პირველ მატჩს „აძურა" 7 სექტემბერს ბაქოში აზერბაიჯანელების წინაამდეგ გამართავს. ნაკრების ახალი კაპიტანი კი, ალბათ, ლაციოელი ალესანდრო ნესტა იქნება.

**სოლომონ გულისაშვილი**



პაოლო მალდინიმ კორეელ ინს „ოქროს გოლზე" ვერ დაუფარა

დაიბადა 1978 წლის 8 ნოემბერს ლონდონში

1985: ვარჯიში დაიწყო „ვესტ ჰემის" ბავშვთა გუნდში

1992: ჩაირიცხა „ვესტ ჰემის" მოსწავლეთა გუნდში

1994: „ვესტ ჰემის" ახალგაზრდულ გუნდში პირველი პროფესიული კონტრაქტი გააფორმა

1996: ასოციაციის ახალგაზრდული თასის ფინალში „ვესტ ჰემი" 0:1 დამარცხდა „ლივერპულთან", გოლი ყმაწვილმა მაიკლ ოუენმა გაიტანა. 5 მაისს დებიუტი ჰქონდა პრემიერლიგაში, „შეფილდთან" შეცვლაზე შევიდა

1998: კამერუნთან ამხანაგურ მატჩში პირველი სანაკრებო კეპი მოიხვეჭა, შეცვლაზე შევიდა

2000: არ წაიყვანეს ევროპის ჩემპიონატზე. სექტემბერში „ლიდსმა" „ვესტ ჰემს" მასში 15 მილიონი გირვანქა შეაძლია და უარი მიიღო. საბოლოოდ 18 მილიონად გაიყიდა, რაც იმ დროისთვის ბრიტანული, ხოლო მცველისთვის მსოფლიოს რეკორდი იყო. წინა რეკორდი იაპ სტამის პსვ-დან „მანჩესტერში" 10,75 მილიონად გადასვლა იყო

2001: აგვისტოში, 22 წლისამ დამტვრეული ლუკას რადებესგან „ლიდსის" კაპიტნობა გადაიბარა

2002: მსოფლიოს ჩემპიონატზე დანიასთან პირველი სანაკრებო გოლი გაიტანა. მუნდიალის შემდეგ 27 კეპი დაუგროვდა. 21 ივლისს „ლიდსი" მის 30 მილიონ გირვანქად „მანჩესტერში" გაყიდვას დათანხმდა

# ო, რიო, რიო — მანჩესტერი!

## ფერდინანდი ასი ათასმა გაყიდა



რიო ფერდინანდი გუშინ მანჩესტერელი გახდა



ამ ბატიფეხურით დაწერილმა წერილმა დიდი ტრანსფერი გაახერხა

**ხელი ხელს** დაჰკრესო, პირდაპირი მნიშვნელობით ვერ ვიტყვით: ყველაფერი მაშინ გადაწყდა, როცა ქალაქის ერთი პატარა ნაჭერი ჩეშირის საუკეთესო სასტუმროს ფაქს-აპარატში ჩაძვრა, რამდენიმე წამში კი მისი ასლი საფრანგეთში ამოძვრა.

„მანჩესტერ იუნაიტედის" თავმჯდომარე პიტერ კინიონი ლიდსელ კოლეგასა და სეხნიას, ბატონ რიდსდეილს წერდა: „ჩვენი კლუბი თანახმაა, რიო ფერდინანდის სანაცვლოდ გადაიხადოს 29,1 მილიონი გირვანქა, თავად ფეხბურთელს კი ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმოს. თქვენი თანხმობის შემთხვევაში, 14,9 მილიონს დაუყოვნებლივ გადავიხდით, დარჩენილ 14,2 მილიონს კი 2003 წლის ივლისში მიიღებთ."

ამასთან ერთად, მანჩესტერის „იუნაიტედი" ლიდსისას დამატებით 4 მილიონ გირვანქას დაჰპირდა, თუ „წითელი ეშმაკუნებისა" და ფერდინანდის ხუთწლიანი თანამშრომლობა დიდ წარმატებებს მოიტანს (ამ პუნქტში კონკრეტულად რა იგულისხმება, ძნელი სათქმელია).

ეს ამბავი კვირას მოხდა და პარასკევის ანალოგიური მიმოწერისგან მხოლოდ ერთი რამით განსხვავდებოდა — მაშინ ერთმა მილიონერმა პიტერმა მეორე მილიონერ პიტერს 100 ათასით ნაკლები, ანუ „მხოლოდ" 29 მილიონი გირვანქა შესთავაზა.

ვერ გეტყვით, ამ 100 ათასმა გადაწყვიტა თუ რიდსდეილს საფრანგეთის რივიერაზე ადამიანურად დასვენების სურვილმა სძლია — ცხადი იყო, „მანჩესტერი" არ მოისვენებდა — ორიოდ საათში იორკშირული კლუბის თავკაცმა განაცხადა: „ჩვენ არ გვსურდა რიოს გაყიდვა, მაგრამ მან თავად გამოთქვა წასვლის სურვილი. ხოლო, როცა გუნდის კაპიტანი ამას ამბობს, სჯობს, წადილი აუსრულო. დიდად არ მსიამოვნებს, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ გარიგება შედგა. რიო გადასარევი ფეხბურთელი და მშვენიერი ყმაწვილია. წარმატებას ვუსურვებ."

ამის თქმა იყო და, 23 წლის რიო ფერდინანდი მსოფლიოს უძვირესი მცველი გახდა. აქამდე ყველაზე დიდი თანხა, მცველში რომ გადაუხდიათ, 35,4 მილიონი დოლარი გახლდათ — ასე შეაფასა „პარმამ" ფრანგი ლილიან ტიურამი და „იუვენტუსიც" დაყაბულდა.

ამავდროულად, ამ გარიგებით სრულიად ბრიტანეთის რეკორდიც დამყარდა, ანუ იმავ „მანჩესტერის" მიერ შარშან ამ დროს ხუან ვერონში გადახდილი 28,1 მილიონი (ერთი მეათედი ეძახე და კი აკვარახჭინებს საქმეებს!) გირვანქა ზუსტად მილიონით „გაუმჯობესდა".

და „მანჩესტერმაც" ამოისუნთქა. ნახევარი ზაფხული ჩალიჩობდა სერ ალექს ფერგიუსონი სტამის წასვლით, ირვინის დაბერებით, ბლანის არაპრემიერლიგური სიდინჯითა თუ იონსენის არასტაბილურობით გამოწვეული გამოფხრეწილი დაცვის ამოკემსვას. პირველად 24 მაისს გაისმა, ბატონს რიო უნდაო და მართალია, თავად ფეხბურთელით დაწყებული ტერი ვენეიბლზით დამთავრებული, ამას ყველა უარყოფდა, მოსახდენი 21 ივლისს მაინც მოხდა. „მიღებულ თანხას ჩვენი ახალი მწვრთნელის ვენეიბლზის განკარგულებებს მოვახმართ. ამ ფულით რამდენიმე ახალი ფეხბურთელის შეძენა შეიძლება" — დაიმედა გაწბილებული გულშემატკივრები პიტერ რიდსდეილმა.

სალცარია, მაგრამ ბოლო გარიგება ამ ორ „იუნაიტედს" შორის 10 წლის წინ შედგა, როცა „მანჩესტერმა" იმდროინდელ ჩემპიონ „ლიდსს" ფრანგი ერიკ კანტონა დასცინცლა და პირველივე სეზონში, 26-წლიანი(!) შესვენების შემდეგ, პრემიერლიგა მოიგო.

**გიგა ძობახიძე**

| მსოფლიოს უძვირესი ტრანსფერები | | |
|---|---|---|
| ზინედინ ზიდანი | 46.5 | იუვენტუსიდან რეალში |
| ლუიშ ფიგუ | 37.0 | ბარსელონადან რეალში |
| ერნან კრესპო | 35.7 | პარმადან ლაციოში |
| ჯანლუიჯი ბუფონი | 32.0 | პარმადან იუვენტუსში |
| კრისტიან ვიერი | 31.0 | ლაციოდან ინტერში |
| რიო ფერდინანდი | 29.1 | ლიდსიდან მანჩესტერში |
| გაისკა მენდიეტა | 28.9 | ვალენსიადან ლაციოში |
| ხუან სებასტიან ვერონი | 28.1 | ლაციოდან მანჩესტერში |
| რუი კოშტა | 28.0 | ფიორენტინადან მილანში |
| პაველ ნედვედი | 25.0 | ლაციოდან იუვენტუსში |
| მარკ ოვერმარსი | 25.0 | არსენალიდან ბარსელონაში |

*თანხა გირვანქა სტერლინგით*

*„მანჩესტერ იუნაიტედი" 1991 წლიდან ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოებად. იგი შედგება ოთხი ჯგუფისგან: **MANCHESTER UNITED FOOTBALL CLUB** (კურირებს ძირითად და ჭაბუკთა გუნდებს) **MANCHESTER UNITED MERCHANDISING** (ფინანსური საკითხები), **MANCHESTER UNITED CATERING** (იგი პატრონობს „ოლდ ტრეფორდს და სტადიონზე გამართულ ლონისძიებებს) და **MANCHESTER UNITED INTERACTIVE** (განაგებს კლუბის ტელეარხს — **MUTV**-ს და ინტერნეტსაიტს).*

# მანჩესტერის აქცია: აქცია, ბევრი აქცია

ეს ოთხი ჯგუფი ექვემდებარება კლუბის აღმასრულებელ კომიტეტს (თავმჯდომარე პიტერ კინიონი), რომელიც თავის მხრივ ექვემდებარება დირექტორთა საბჭოს (თავმჯდომარე როი გარდნერი).

კლუბის აქციათა 23,2 პროცენტის მფლობელია ათი ათასამდე კერძო პირი, 76,8 პროცენტს კი განაგებს ასზე მეტი კომპანია, მათ შორის მძლავრი აქციონერები არიან BRITISH SKY CORPORATION (9,95) და CVBIC EXPRESSION COMPANY (8,659).

დირექტორთა საბჭო ტრადიციულად სამ კვირაში ერთხელ იკრიბება. თუმც საჭიროების შემთხვევაში ეს ვადა შეიძლება დაირღვეს. მაგალითად 23 ივნისს ისინი რიგგარეშედ განიხილავდნენ რიო ფერდინანდის ტრანსფერის საკითხს — გადაეხადა თუ არა კლუბს მოთამაშეში 29 მილიონი გირვანქა და ოთხსაათიანი სჯა-ბაასის შემდეგ საკითხი დადებითად გადაწყდა.

კლუბის აღმასრულებელი კომიტეტისა და დირექტორთა საბჭოს ყოველი სხდომის შემდეგ უკლებლივ ყველა აქციონერს უგზავნიან 60-გვერდიან დაწვრილებით ანგარიშს ხარჯთაღრიცხვის შესახებ. ანგარიშში აგრეთვე არის ცნობა ტრამვირებულ ფეხბურთელებზე. გარდა ამისა, აქციონერებმა ისიც კი იციან, თუ რა მიზეზით გამოტოვა თორმეტწლამდელთა გუნდში ამა თუ იმ ბავშვმა შეხვედრა!

ყოველი სეზონის დასრულების შემდეგ იმართება ორდღიანი ბანკეტი, რომელზეც მიპატიჟებულია ყველა მეპაიე გუნდის მენეჯერს (სერ ალექს ფერგიუსონი) კი ერთპიროვნულად შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება იმ საკითხების თაობაზე, რომელიც მის კომპეტენციაში შედის. მაგალითად, სამწვრთნელო პროცესი, შემადგენლობის გამოცხადება, ჯარიმის დაკისრება მოთამაშეზე დაგვიანებისთვის და ასე შემდეგ.

ბოლო სეზონში კლუბის აქციების ფასმა 8,9 პროცენტით აიწია, მიუხედავად იმისა, რომ კლუბი წლეულს უტიტულოდ დარჩა. ათი წლის განმავლობაში კი ერთი აქციის ღირებულება 395-დან 3309 გირვანქამდე გაიზარდა, რაც ფრიად შთამბეჭდავი პროგრესია.

დღეისთვის აქციათა მთლიანი ღირებულება 837 მილიონ გირვანქას შეადგენს. საყურადღებოა ისიც, რომ აქციონერებს არ შეუძლიათ, მუქთად ან შეღავათიან ფასებში შეიძინონ მატჩებზე დასასწრები სასეზონო აბონემენტები. ამ უფლებით მხოლოდ დირექტორთა, საბჭო სარგებლობს. ხოლო აბონემენტის შეძენის მსურველთა რაოდენობა ყოველთვის 3-ჯერ აღემატება „ოლდ ტრეფორდის" ტევადობას.

**ზურაბ რუბაშვილი**



სერ ალექს ფერგიუსონი საფეხბურთო მეურნეობაშიც კარგად ერკვევა და ცხენებშიც



რუუდ ვან ნისტელროიმ გოლები, როი კინმა კი გულები მოიხვეჭა

# კინს მუნდიალი აპატიეს

**შელბურნი 0:5 მანჩესტერ იუნაიტედი**

**მანჩესტერ იუნაიტედი:** კეროლი, ფ. ნევილი, ბლანი, ოშეა, სილვესტრი, ფორლანი, კინი, ვერონი, გიგზი, სოლსკიაერი, ვან ნისტელროი
შეცვლაზე შევიდნენ: უილიამსი, ტერნი, რონეი, სტიუარტი, იორკი, ჯორჯიში

**სერ ალექს ფერგიუსონმა** თავისი შეგირდები აბარგა და ირლანდიაში წაიყვანა, სადაც „მანჩესტერ იუნაიტედმა" ამხანაგური მატჩი ჩაატარა იქაურ ჩემპიონ „შელბურნთან". რა გასაკვირია, რომ შეხვედრაში სრული უპირატესობა ჰქონდა ინგლისურ კლუბს, რომლისთვისაც ეს პირველი სპარინგი იყო ახალი სეზონისთვის მზადებისას.

მატჩში, რომელშიც ხუთი გოლი ოდენ ერთი გუნდის კარში გავიდა, სამჯერ გამოიჩინა თავი რუუდ ვან ნისტელროიმ, ხოლო თითოჯერ დიეგო ფორლანმა და დუაიტ იორკმა, რომელზედაც, სხვათა შორის, ხმები დაირხა, „იუნაიტედიდან" დაითხოვესო.

თუ „მანჩესტერ იუნაიტედსა" და ირლანდიაზე ლაპარაკობ, აუცილებლად, გაკვრით მაინც უნდა ახსენო გუნდის კაპიტანი როი კინი. თუმცა გაკვრით თქმა აქ აღარ გამოვა, რადგან შეხვედრის მთავარი მოქმედი პირი სწორედ კინი იყო.

ირლანდიის ნაკრებიდან დათხოვილ ფეხბურთელს 8 ათასი გულშემატკივარი წამოუდგა ფეხზე და ძალიან დიდ ხანს უკრავდა ტაშს. როგორც ბრიტანული პრესა წერს, მიუხედავად რუუდ ვან ნისტელროის ჰეთ თრიქისა, კინი მაინც მთავარი ფიგურა იყო გუნდისთვის.

კაპიტანმა საგანგებო ქება დაიმსახურა მწვრთნელის თანაშემწისგან. „როიმ ითამაშა ისე, როგორც ველოდით. და საერთოდ, „იუნაიტედმა" ბრწყინვალედ დაიწყო ახალი სეზონისთვის მზადება" — თქვა კარლუშ კეიროშმა, ვისზეც თავის მხრივ ფერგიუსონმა თქვა, სამ წელიწედში, ჩემი წასვლის შემდეგ „იუნაიტედის" მწვრთნელი გახდებაო.

დაბოლოს, შეხვედრაში არ უთამაშია „იუნაიტედის" კიდევ ერთ ლიდერ დევიდ ბექემს.

**ირაკლი ვეძუა**



ფულემელმა სტიდ მალბრანკმა (მარჯვნივ) ბერძენთა ხარიხას გაარტყა

# ჰაოსი და ქართლოსი გასახდელში

## ინტერტოტოს თასი 2001

### III ეტაპი. პირველი მატჩები

**მარეკი (ბულგარეთი) 0:3 სლავენი (ხორვატია)**
0:1 ჩერნატი (21), 0:2 კოშიჩი (75), 0:3 ბოიაჩი (90)
მარეკი: ამბარცუმიანი, კრუმპლიევი, ალექსანდროვი, არანგულოვი, ლოლჩევი, ველიკოვი, დიმიტროვი, სტოიკოვი, იანკოვი, ა. მუჯირი, შანკულოვი
გაძევება: ამბარცუმიანი (49), მუჯირი (53)

**გლორია (რუმინეთი) 0:2 ლილი (საფრანგეთი)**
0:1 ბუტალი (63), 0:2 ბრუნელი (85)

**ფულემი (ინგლისი) 1:0 ეგალეო (საბერძნეთი)**
1:0 საჰა (77)

**ბრედა (ჰოლანდია) 1:1 ტრუა (საფრანგეთი)**
0:1 დანჯუ (51), 1:1 სლოტი (73)

**შტუტგარტი (გერმანია) 3:1 პერუჯა (იტალია)**
0:1 მიკოლი (14), 1:1 ბორდონი (66), 2:1 განეა (71), 3:1 ზაიცი (90)

**ბოლონია (იტალია) 2:0 ბატე (ბელარუსი)**
1:0 ხულიო კრუზი (44), 2:0 ბელუჩი (80)

**მალაგა (ესპანეთი) 3:0 გენტი (ბელგია)**
1:0 დელი ვალდესი (18), 2:0 კანაბალი (32), 3:0 დელი ვალდესი (81)

**კრილია (რუსეთი) 3:1 ტილბურგი (ჰოლანდია)**
1:0 კოვბა (33), 1:1 ლანძაატი (36პ), 2:1 რადიმოვი (44), 3:1 გაუშუ (74)

**კაიზერსლაუტერნი (გერმანია) 2:1 ტეპლიცე (ჩეხეთი)**
1:0, 2:0 ბასლერი (4, 38), 2:1 ჰორვატი (89პ)

**სინოტი (ჩეხეთი) 0:3 სოშო (საფრანგეთი)**
0:1, 0:2 ფრაუ (21, 50), 0:3 ლონფატი (83)

**ტორინო (იტალია) 2:0 ვილიარეალი (ესპანეთი)**
1:0 კომოტო (44), 2:0 ფერანტე (48)

**ციურიხი (შვეიცარია) 2:0 ასტონ ვილა (ინგლისი)**
1:0 კეიტა (32), 2:0 იასარი (83)

მესამე წრის პირველ მატჩებში რამდენიმე გუნდმა თითქმის გაინაღდა შემდეგ ეტაპზე გასვლა. ეს უპირველესად ხორვატულ „სლავენზე" ითქმის. ხორვატები ჩვენებური ამირან მუჯირის ბულგარულ „მარეკს" ეწვივნენ და 3 უპასუხო გოლი გაუტანეს მასპინძლებს. ბულგარელებს საქმე თავიდანვე შავად წაუვიდათ, ჯერ იყო და, 21-ე წუთზე ჩერნატისგან გოლი გაუშვეს, მეორე ტაიმის დაწყებიდან ათ წუთში კი ორი ფეხბურთელი — სომეხი ამბარცუმიანი და ქართველი მუჯირი გაუძევეს. ამის მერე სტუმრებმა კიდევ ორჯერ იხეირეს და შინ სამბურთიანი უპირატესობით გაბრუნდნენ.

სამაგიეროდ, დიდი ოფლის ღვრა მოუწევს „ფულემს". არაბი მილიონერის, მოჰამედ ალ-ფაიედის გუნდმა კვლავაც დიდი გაჭირვებით მოახერხა გოლის გატანა. თუმცა საკითხავია, საჰას მიერ მატჩის ბოლოსკენ გატანილი გოლი რამდენად ეყოფა ლონდონურ კლუბს ბერძნულ „ეგალეოსთან" ათენში სტუმრობისას.

„მიუნხენ 1860"-ის რბევის შემდეგ იმტაზე მოსული ბელარუსული ბატე იტალიურმა „ბოლონიამ" შეაჩერა. „თეთრმა რუსებმა" გოლი პირველი ტაიმის მიწურულს გაუშვეს არგენტინელი ხულიო კრუზისგან. მეორე ნახევარში კრუზის მონაგარს ბელუჩიმ-მეორეც დაამატა, ბოლო წამებზე ბეპე სინიორის მესამეს გატანაც შეეძლო, თუმც იტალიელებისთვის არც 2:0 უნდა იყოს ურიგო შედეგი.

თავისი საშინაო მატჩი „ტორინომაც" მოიგო. ტურინელები ესპანურ „ვილიარეალთან" მცველმა კომოტომ დააწინაურა თავურით. მეორე ტაიმის დაწყებისთანავე კი ფერანტემ შეაგდო საჯარიმოდან და „ტორინოც" ორი ბურთით დაწინაურდა. საბოლოოდ იტალიელებმა, მიუხედავად იმისა, რომ მე-60 წუთზე კომოტო გაუძევეს, ამ ანგარიშის შენარჩუნება მოახერხეს. სტუმართაგან ყველაზე აქტიურმა მარტინ პალერმომ კი ორი ნაღდი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა და ესპანურ კლუბს საკუთარ მოედანზე ორბურთიანი სხვაობის გაქვითვა მოუწევს.

„ბოლონიასა" და „ტორინოსგან" განსხვავებით, მესამე იტალიურმა გუნდმა „პერუჯამ" შტუტგარტში 1:3 წააგო და საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. პერუჯელთათვის ყველაფერი კარგად კი დაიწყო, მაგრამ საბოლოოდ ცუდად დამთავრდა. მიკოლის მე-14 წუთზე გატანილ გოლს გერმანელებმა კარგა მოგვიანებით, მაგრამ მაინც უპასუხეს. 66-ეზე შტუტგარტელთა ბრაზილიელმა ბორდონმა გაათანაბრა, შემდეგ რუმინელმა განეამ და იოსან ზაიცმა „შტუტგარტის" უპირატესობა სოლიდური გახადეს.

მოიგო კიდევ ერთმა ბუნდესლიგელმა „კაიზერსლაუტერნმაც". იგი ჩეხურ „ტეპლიცეს" მასპინძლობდა და 2:1 იკმარა. „ლაუტერნი" ბასლერმა უკვე მე-4 წუთზე დააწინაურა, 38-ეზე მარიომ 25 მეტრიდან გაისროლა და მეორეც შეაგდო. „ფრიც ვალტერ შტადიონის" ქომაგები პირველ ტაიმში ბრაზილიელ ლინკოლნსაც შეეძლო გაეხარებინა, თუმცა საბოლოოდ ყველაფერი „კაიზერისათვის" არცთუ სასიკეთოდ დასრულდა. ჩეხებმა ბოლოსწინა წუთზე პენალტი მოინადირეს, რომელიც ჰორვატმა გოლად აქცია.

ინტერტოტოს შემორჩენილი მეორე ჩეხური გუნდი კი ფრანგულმა „სოშომ" დატოვა უშანსოდ. „სინოტმა" ორი გოლი საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრ პიერ ალენ ფრაუსაგან გაუშვა. საფინალო სასტვენამდე შვიდიოდე წუთით ადრე კი ლონფატმა ჩეხების გამანადგურებელი ანგარიში — 0:3 დააფიქსირა.

სტუმრად იმარჯვა „ლილმაც". ფრანგებმა რუმინული „გლორია" მეორე ტაიმში ბუტალისა და ბრუნელის გოლებით დასცეს.

სტუმრად ფეხბურთის ფრანგული კლუბი „ტრუაც", თუმც ბრედელ სლოტის გოლის წყალობით ფრესლა დასჯერდა.

ალბათ, შემდეგ ეტაპზე ითამაშებს ესპანური „მალაგა". პრიმერადივიზიონელები ბელგიურ „გენტს" დაუხვდნენ და 3:0 მოუგეს. სტუმართა რბევას პირველ ტაიმში დელი ვალდესმა დაუდო სათავე. მეორე ნახევარში კანაბალმა და იმავე დელი ვალდესმა ანგარიში სახიფათო გახადეს.

რიხიანი სიტყვა თქვა შვეიცარიულმა „ციურიხმაც". ჩვენებურების ყოფილმა კლუბმა ინგლისურ „ასტონ ვილას" უმასპინძლა და მოულოდნელად კუდით ქვა ასროლინა. ანგარიში 19 წლის ნახევარმცველმა კეიტამ გახსნა 32-ე წუთზე, 83-ზე კი, მეორე გაშვებული გოლის შემდეგ, ინგლისელებს მცველი სამუელი გაუძევეს, თუმც ციურიხელთა მეკარეს რომ არ ემარჯვა, მუსტაფა ჰაჯის ბოლო წუთებზე გოლის გატანა მაინც შეეძლო.

ისევ მოიგო რუსულმა „კრილია სოვეტოვმა", შინ ჰოლანდიურ „ტილბურგს" უმასპინძლა და დამაჯერებლადაც დაამარცხა. „კრილიას" ტაიმი რადიმოვმა მოაგებინა, რასაც მეორე ნახევარში რუსების ბრაზილიელი გაუშუს მესამე გოლი მოჰყვა.

**სერგი ძორიძე**



ციურიხელი სტეფან კელერი (მარცხნივ) და ასტონვილელი პიტერ კრუში

# სადაც კერძაკოვისას იტყვით, იქ კუდრიაშოვიც ახსენეთო...

## რუსეთი

### გადადებული მატჩები

**შინიკი 2:2 სპარტაკი**
0:1 კუდრიაშოვი (42), 1:1 ხომუხა (45პ), 2:1 ფუზაილოვი (54), 2:2 კუდრიაშოვი (69)

**ურალანი 3:3 ზენიტი**
0:1 კერჟაკოვი (19), 1:1 ნიკლაური (29), 2:1 კოლოდინი (43), 2:2 კერჟაკოვი (45), 3:2 ავაკოვი (70), 3:3 კერჟაკოვი (89)

ორივე გადატანილი მატჩი ფრედ დამთავრდა. იაროსლავლში, აუტანელ სიცხეში „შინიკმა" და „სპარტაკმა" ორ-ორი ბურთი გაუტანეს ერთმანეთს, თუმცა თამაში დიდი ვერაფერი საცქერი გამოდგა და ამის მთავარ მიზეზად იქაურები თაკარა მზეს ასახელებენ. შეხვედრა შუადღის ოთხ საათზე დაიწყო და განსაკუთრებით პირველ ტაიმში მავანთ ჩაეძინებოდათ კიდეც. მოსკოველთაგან გოლები 19 წლის ნახევარმცველმა დმიტრი კუდრიაშოვმა გაიტანა, ვინც ძირითადში თავისივე კბილა და სეხნია სიჩევის ტრავმის გამო მოხვდა.

აი, ელისტაში კი დიდი ბრძოლა გაიმართა. ეს არ იყო მაღალი კლასის ფეხბურთი, მაგრამ ჟინი და მონდომება მეტოქეებს ნამდვილად არ დაეწუნებოდათ. ჯერ „ზენიტი" იგებდა, მერე ორჯერ „ურალანი", თუმცა ბოლოსწინა წუთზე სტუმრებმა მაინც გაათანაბრეს. პეტერბურგელმა ალექსანდრ კერჟაკოვმა ჰეთ თრიქი შეასრულა და ბომბარდირთა დავაში კიდევ უფრო დაწინაურდა. მას 13 გოლი მოუგროვდა, სიჩევი და ურალანელი წიკლაური კი ზენიტელს 9-9 ბურთით უდგანან კვალში.

მე-16 ტურის მატჩები რუსეთში დღეს და ხვალ გაიმართება.

**სოლომონ გულისაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 16 | 10 | 5 | 1 | 24:8 | 35 |
| ცსკა | 14 | 10 | 2 | 2 | 27:11 | 32 |
| სპარტაკი | 16 | 9 | 3 | 4 | 29:22 | 30 |
| კრილია | 15 | 7 | 3 | 5 | 19:17 | 24 |
| როტორი | 15 | 7 | 3 | 5 | 15:13 | 24 |
| სატურნი | 15 | 6 | 5 | 4 | 20:19 | 23 |
ლოდინის და გაჯანჯლების მიუხედავად, ცქიტიშვილის გადენვერელებამ მისი მომავალი თანაგუნდელის, ნენე ილარიოს წვალების ფონზე შეუდარებლად უპრობლემოდ ჩაიარა. 2002 წლის დრაფტზე ცქიტიშვილის შემდეგ აყვანილ ტომით ბრაზილიელ, ასევე 19 წლის ილარიოს თავისი ძველი გუნდი „ვასკუ და გამა" არ უშვებს. უფრო სწორად, უშვებს, მაგრამ ძველი კონტრაქტის გამოსასყიდად კოლოსალურ თანხას, 2,5 მილიონს აწესებს.

მაშ ასე, ახლა უკვე თამამად შეიძლება ცქიტიშვილი ნაღდ ნბა-ელად ჩავთვალოთ, რადგან „დენვერმა" კონტრაქტი გაუფორმა და საამისოდ მილიონები არ დაინანა. ესე იგი, „დენვერი" მზადაა, ნიკა ნბა-ში თამაშისთვის მზადმყოფად მიიჩნიოს და უკვე მომავალ სეზონში მიანდობს საკმაო წუთებს მოედანზე. ცქიტიშვილი დაახლოებით 100 დღეში (ოკეანგაღმა სეზონი 29 ოქტომბერს იწყება) შევა ნბა-ს მოედნებზე და ჩვენი პლანეტის უძლიერესი კალათბურთელების მხარდამხარ არა და წინააღმდეგ კი ითამაშებს. „დენვერის" ნდობა ადასტურებს იმას, რომ კლუბს იმედი აქვს, ცქიტიშვილი რამდენიმე წელიწადში თავად გახდება მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო.

**ირაკლი ფირცხშვილი**



ნიკა ცქიტიშვილი კონტრაქტამდე რამდენიმე დღით ადრე

# 16 ნიკამ ნაგიტსში პირველი ქულები მიითვალა

**იმ დღეს** კარგა ხანს ვერ დაივიწყებს ნიკა ცქიტიშვილი. 20 ივლისს მან „დენვერთან" კონტრაქტის გაფორმებაც მოასწრო და ამ გუნდის 22-ნომრიან მაისურამოცმულმა მართალია, არაოფიციალურ, მაგრამ მაინც თამაშშიც მიიღო მონაწილეობა.

ამჟამად ცქიტიშვილი თავის გუნდ „ნაგიტსთან" ერთად დენვერის მეზობელ ქალაქ სოლტ ლეიკ სიტიშია და იქ მოწყობილ საზაფხულო ლიგაში აჭაშნიკებს ოკეანგაღმურ კალათბურთს.

საზაფხულო ლიგა ერთგვარი ამხანაგური ტურნირია, რომელშიც გამოუცდელი ახალგაზრდები კლასს იმაღლებენ, აგრეთვე ისინჯებიან ნბა-ში თამაშის მსურველი ბიჭებიც. ერთი სიტყვით, ესაა ჩვეულებრივი თამაშები, ვარჯიშის დატვირთვით.

„დენვერს" პირველმა მატჩმა მასპინძელი „იუტა ჯაზის" წინააღმდეგ მოუწია. ცქიტიშვილმა უკვე ამ თამაშში მოასწრო თავის გამოჩენა, 16 ქულა მოიხვეჭა, იმ შეხვედრის ყველა სხვა მონაწილეს აჯობა და თავისიანებს 64:53 დაამარცხებინა მეტოქე. არადა, ნუ იფიქრებთ, „იუტა" მარტოოდენ ქუჩის მოთამაშეების ამარა წარდგომოდა „დენვერს". „ჯაზის" რიგებში ბურთაობდნენ ანდრეი კირილენკო, დეშონ სტივენსონი და ჯარონ კოლინზი. ამ სამეულს „იუტას" ორი ბებერი ლიდერი — ჯონ სტოქტონი და კარლ მელოუნი რომ დავამატოთ, ნბა-ს ერთ-ერთი მოწინავე გუნდის სასტარტო ხუთეულს მივიღებთ. ასე თუ ისე, „იუტას" წამყვანებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს. წინა სეზონის ერთ-ერთმა საუკეთესო ახალბედამ, რუსმა ანდრეი კირილენკომ თამაში ოდენ ორი ქულით დაასრულა და ვერც სხვებმა მოახერხეს თუნდაც ათი ქულის მოგროვება.

ამგვარად, ნიკამ პირველივე თამაში მოაგებინა „დენვერს". 16 ქულა მან შემდეგნაირად შეაგროვა: ჩააგდო რვა ნასროლი ორქულიანიდან ოთხი, ორი სამქულიანიდან — ერთი და ხუთი საჯარიმოდან ყველა. „ცქიტომ" 28 წუთი ითამაშა და აგრეთვე დააგროვა ორი მოხსნა, ორი ჩაჭრა და ერთიც დაფარება.

მომდევნო თამაში „დენვერს" დღეს დილით „კლივლენდ კავალიერზთან" უნდა გაემართა.

**ირაკლი ფირცხშვილი**



ნიკა ცქიტიშვილი ამერიკულ ფარებსაც ეჩვევა

*ზაზა ფაჩულია თურქეთში მარტო აღარ იქნება, მომავალი სეზონიდან ამ ქვეყნის ჩემპიონატში კიდევ ერთი ქართველი ცენტრი ითამაშებს. გუშინ გაირკვა, რომ ბასკოელი დავით ბერძენიშვილი ერთი წლით ანკარის „თედ კოლეჯს" დაეხმარება. დახმარება კი ამ გუნდს მართლაც რომ სჭირდება.*

# ფაჩულია ბერძენიშვილს ფარქვეშ დახვდება

## ბასკოს ცენტრი ანკარის კოლეჯში ჩაირიცხა

**სანამ** თურქეთს წავიდოდა, ბერძენიშვილს „ბასკომ" ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. ასე რომ, იგი „თედ კოლეჯში" განათხოვრებულის სტატუსით ითამაშებს და, როგორც ბათუმელთა მთავარმა მწვრთნელმა ნუგზარ კანდელაკმა გვითხრა, შესაძლოა, ქართველი ცენტრის სანაცვლოდ ანკარიდან რომელიმე კალათბურთელი ჩამოიყვანონ.

უცხოელის ჩამოსვლის ამბავი ჯერაც გასარკვევია, აი, ბერძენიშვილი კი კოლეჯელებთან ვარჯიშს უკვე შეუდგა.

„თედ კოლეჯი" ახლოსაც ვერ მივა ზაზა ფაჩულიას „ულქერთან". წესით, ეს გუნდი უმაღლეს ლიგას უნდა გამოსთხოვებოდა, მაგრამ თურქეთის კალათბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, წლეულს ქვედა ლიგაში არავინ ჩაინაცვლებს, იქიდან კი ორნი ამოვლენ.

„თედ კოლეჯი" წლეულს ევროთასზეც თამაშობდა, მაგრამ საპორტას თასის ერთ-ერთ ჯგუფიდან ვერ გააღწია. ახლა კი სამომავალსეზონოდ ქართველი ცენტრი შეარჩია, ვისთვისაც თურქეთი მეორე უცხო ქვეყანა იქნება სლოვაკეთის შემდეგ.

**ირაკლი ბერტაია**



დავით ბერძენიშვილი

# რუსს ყელზე არ დაადგა
## მოიასთვის უმაგი-სოზა არ იქნება

**„მერსედესის" თასი**
შტუტგარტი. თიხნარი
საპრიზო 500 ათასი $

**მეოთხედფინალი**
**ირჟი ნოვაკი** (1, ჩეხეთი) — **ტომი რობრედო** (8, ესპანეთი) 6:4, 6:2; **გილიერმო კანასი** (3, არგენტინა) — **ალბერტო მარტინი** (ესპანეთი) 1:6, 6:2, 7:6 (7:5); **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) — **იუნეს ელ აინაუი** (4, მაროკო) 6:3, 6:2; **ლარს ბიურგსმიულერი** (გერმანია) — **ანდრეი პაველი** (5, რუმინეთი) 3:6, 6:3, 6:2

**ნახევარფინალი**
**კანასი** — ნოვაკი 6:4, 6:0; **იუჟნი** — ბიურგსმიულერი 6:3, 4:6, 7:5

**ფინალი**
**იუჟნი** — კანასი 6:3, 3:6, 3:6, 6:4, 6:4


REUTERS შტუტგარტიდან
მიხაილ იუჟნი ჩემპიონთა რბოლაში მოგებული „მერსედესით" გადაადგილდა

რუსთა ბანაკში მატებაა — ამიერიდან ევგენი კაფელნიკოვისა და მარატ საფინის გარდა ხშირ-ხშირად წერა ალბათ მიხაილ იუჟნის შესახებაც მოგვიწევს.

ეს ბიჭი 20 წლისაა და კვირას თავის პირველსავე სა-ATP-ო ფინალში იმარჯვა. შარშან გუსტავო კუერტენთან დამარცხებული ფინალისტის, წლეულს მესამე ნომრად განთესილი 24 წლის არგენტინელი გილერმო კანასის ძლევას მან სამ საათზე რვა წუთით მეტი დრო მოანდომა.

მერე კი ვერცხლისფერ „მერსედესში" მოკალათდა და ჩემპიონთა რბოლის 31-ე ადგილზე ასრიალდა...

„ეს დაუჯერებელი ამბავია — იძახდა ნაფინალევს — ჯერაც არ მჯერა, ამის გაკეთება რომ მოვახერხე. არ გაგეცინოთ, მაგრამ ამას ათი წელი ველოდი. ეს ჩემი პირველი ტიტულია და პირველი მოგებული მანქანა — ჩანს, ტურნირი სწორად შევარჩიე".

ამ ტურნირამდე იუჟნის უმთავრეს საამსეზონო მიღწევებად აპრილში კასაბლანკური და მიუნხენური ტურნირების ნახევარფინალებში თამაში იყო. ახლახან მოთავებულ უიმბლდონზე კი მან მერვედფინალს უწია და იქ მომავალ ჩემპიონთან, ლეიტონ ჰიუიტთან დამარცხდა.

კანასთან მოგებულ ფინალამდე მან მიჯრით აოტა მაროკოელი ჰიშამ არაზი, ეკვადორელი ნიკოლას ლაპენტი (6), მაროკოელივე იუნეს ელ აინაუი (4) და გერმანელი ლარს ბიურგსმიულერი.

რაც შეეხება კანასს, იგი წლეულს ჩენაის ტურნირის გამარჯვებულია, კასაბლანკის ფინალისტი, როლან გაროსის მეოთხედფინალისტი და — როგორც ზემოთაც ვახსენეთ — მერსედესის თასის ფინალში ზედიზედ მეორედ თამაშობდა.

„და ზედიზედ მეორედვე დავკარგე მანქანა — ამბობდა მერე — თითქოს მთელი ჯიგრით ვითამაშე, მაგრამ ის მაინც ჩემზე უკეთესი იყო. რას იზამ, იქნებ გაისად მაინც გამომივიდეს".

კარიერის მერვე გადამწყვეტ შეხლას კანასმა სარგის სარგსიანის, ფელიქს მანტიას, ალბერტო მარტინისა და ირჟი ნოვაკის გაიმასპინძლებით მიაღწია. იუჟნი და ის ერთმანეთს პირველად ხვდებოდნენ და პირველი ბლითი — ვაგლახ — რუსს ყელზე არ დაადგა.

სხვაფრივ — ამ ტურნირს ქომაგი გაუთავებელი საპირველდღეო წვიმებითაც მოიგონებს. კლაუდია ციკლონი შტუტგარტის თავზე მაინცდამაინც იქითა ორშაბათიდან მოილუშა და ისეთი დაასხა, რომ ხუთშაბათამდე არ შეუწყვეტია.

ამან მრავალი შეხვედრის გადატანა გამოიწვია. ერთ დღეში ორი მატჩის თამაში ამის გამო შარშანდელ ჩემპიონ გუსტავო კუერტენსაც მოუხდა — გუგამ პირველი მოიგო, მეორე კი აშკარად დაღლილმა ითამაშა, დათმო და ტიტულის შენარჩუნების შანსი ჩოგნის ხელში აღების პირველსავე დღეს დაკარგა.

მისი გავარდნის შემდეგ უმთავრეს ფავორიტად ტურნირზე პირველ ნომრად განთესილი ირჟი ნოვაკი მიიჩნეოდა, მაგრამ მისმა საჩემპიონო ჩოგნაობამ მხოლოდ ნახევარფინალამდე გასტანა, იქ კი ჩეხი გილერმო კანასს დანებდა და...

რაც მერე მოხდა, იმის შესახებ ვინძლო თავშივე წაგეკითხოთ.

**ENERGIS OPEN**
ამერსფოორტი. თიხნარი
საპრიზო 381 ათასი $

**მეოთხედფინალი**
**ალბერტ კოსტა** (1, ესპანეთი) — **ანდრე სა** (ბრაზილია) 6:2, 6:2; **ხუან იგნასიო ჩელა** (2, არგენტინა) — **ხუან ბალსელსი** (ესპანეთი) 7:6 (9:7), 6:3; **გასტონ გაუდიო** (3, არგენტინა) — **იარკო ნიემინენი** (5, ფინეთი) 6:1, 6:2; **იონ ვან ლოტუმი** (ჰოლანდია) — **კრისტოფ როშუ** (ბელგია) 6:4, 6:4

**ნახევარფინალი**
**კოსტა** — გაუდიო 4:6, 7:6 (7:1), 6:3; **ჩელა** — ვან ლოტუმი 2:6, 6:3, 6:3

**ფინალი**
**ჩელა** — კოსტა 6:1, 7:6 (7:4)

რაკილა კათხისპირულმა წვიმამ მეჩოგნეები კორტზე ნამეტურ გვიან შეჰყარა, ფინალში გასულმა ბიჭებმა ისე დათქვეს, რომ „სამი სეტის მოგებამდე" თამაშის ნაცვლად „ორი სეტის მოგებამდე" ეთამაშათ.

სიტყვა სიტყვაა და, პირველი მოწოდებიდან ზუსტად ორი სეტის თავზე წოწოლა არგენტინელმა ხუან იგნასიო ჩელამ კარიერის მეორე ტიტული მიითვალა. წლევანდელი მეროლანგაროსე კოსტა, რომელიც თავის მეცამეტე სათიხნარო ტიტულს ეძებდა, რათა ამ მაჩვენებლით გუსტავო კუერტენთან გათანაბრებულიყო, პირში ჩოგანგამოვლებული დარჩა.

ჩელას გამარჯვებამ კიდევ ერთხელ ცხადყო ორი რამ — პირველი ის, რომ არგენტინული ჩოგბურთი ახლა არნახული ალმავლობის გზაზეა, მეორე კი ის, რომ თავად ჩელას ამ ალმავლობაში არცთუ მცირე წვლილი შეაქვს.

თავად განსაჯეთ — ჩელას ამსეზონანდელი საკარიერო მონაგარი 31 დამარცხების წილ მხოლოდ 24 გამარჯვებას მოიძევდა, მაშინ, როცა მარტო იანვრიდან დღევანდლამდე მას უკვე 51 მატჩი აქვს გამართული და აქედან 33-ში უმარჯვია.

წლეულს ოთხმა არგენტინელმა მეჩოგნემ ჯამში ხუთი ტიტული მოაქუჩა — კანასმა ჩენაიში, დავიდ ნალბანდიანმა ეშტორილში, გასტონ გაუდიომ ბარსელონასა და მალიორკაში და ჩელამ ამერსფოორტში. გარდა ამისა, ამა თუ იმ არგენტინელმა წლეულს კიდევ შვიდჯერ ითამაშა ფინალში.

„ძალიან, ძალიან ბედნიერი ვარ — ამბობდა ჩელა — ეს ფანტასტიკური გამარჯვებაა, იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ როლან გაროსის წლევანდელ პირველოსანს ვძლიე...

რაც შეეხება საერთოდ არგენტინულ ჩოგბურთს, ის მართლაც არაჩვეულებრივ ალმავლობას განიცდის. ახლა მართლაც ბევრი კარგი მობურთალი გვყავს და გაჭირვებაში მყოფ ჩვენს ხალხს ახლა მხოლოდ მათი თუ ეიმედება...

ეს ტურნირი პირველი იყო, რომელზეც მეგობარ გოგოსთან, აგოსტინა კაბანისთან ერთად ვიყავი და ის მე საოცრად დამეხმარა. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რა შვებაა, როცა ტურნირის მსვლელობისას მარტო ჩოგბურთზე ფიქრი არ გიწევს და ხანდახან საყვარელ ქალთან განმარტოვებაც შეგიძლია".

ალბერტ კოსტას ბარემლა ამის წარმოდგენა არ გაუჭირდებოდა — კრისტინასთან მისი თაყვანისმცემლობა ხომ სულ რაღაც კვირების მოთავებულია — მაგრამ ფინალში მისთვის წინაალმდეგობის გაწევა ნაღდად გაუჭირდა.

ქარი იყოო, ჩიოდა მერე და ნაროლანგაროსევს გამძლავრებულმა თვითრწმენამ მაინცდამაინც დღეს დამალალატაო, სულ ბოლოს აი, ეგრე ფინაჩურად ამატებდა.

ხოლო ვინმეს თუ გაინტერესებთ, ბარემ ამასაც გეტყვით — წლეულს კოსტას 42 შეხვედრა დაუგროვდა და აქედან მხოლოდ 12-ჯერ დამარცხებულა. მისთვის სამწუხაროდ, მეთორმეტე მარცხი სწორედ მაშინ წამოეპარა, როცა თავი უკვე გუგა კუერტენთან გატოლთიხნარსწორებული ეგონა.

მახლას!

**ხორვატიის ღია პირველობა**
უმაგი. თიხნარი
საპრიზო 381 ათასი $

**მეოთხედფინალი**
**კარლოს მოია** (2, ესპანეთი) — **ფერნანდო ვისენტე** (5, ესპანეთი) 3:6, 6:1, 6:0; **ზელკო კრაიანი** (ხორვატია) — **ივან ლიუბიჩიჩი** (4, ხორვატია) 7:5, 7:5; **იურგენ მელცერი** (ავსტრია) — **ვიქტორ ჰანესკუ** (რუმინეთი) 6:4, 6:4; **დავიდ ფერერი** (ესპანეთი) — **გილერმო კორია** (არგენტინა) 5:7, 6:1, 7:5

**ნახევარფინალი**
**მოია** — მელცერი 7:6 (7:1), 6:4; **ფერერი** — კრაიანი 6:2, 6:1

**ფინალი**
**მოია** — ფერერი 6:2, 6:3

თავისი მესამე უმაგური გამარჯვების შემდეგ — და კარლოსმა აქ 1998 და 2001 წლებშიც უპირველა — ჩემპიონთა რბოლის ზეათეულში შესაღწევად მას მხოლოდ ერთი ქულა დააკლდა. მაგრამ მის ქომაგებს სანერვიულო მაინც არაფერი გაქვთ — იგი ახლა საუცხოო ფორმაშია და, როგორც თავად ამბობს, კარიერის საუკეთესო ჩოგბურთს თამაშობს.

მისი ძალა იმის იქითა კვირაში ბასტადურ თიხნარზეც იწვნიეს, სადაც მან სეზონის მეორე, ხოლო ცხოვრების მეცხრე ტურნირი მოიგო. თუკი ამ მაჩვენებლებს თითო-თითოს მივამატებთ, უდრტვინველად შევიტყობთ, რომ უმაგურ ფინალში უსახელო თვისტომის, დავიდ ფერერის ძლევის შედეგად კარლოს მოიას საამსეზონო მონაგარმა სამი, ხოლო საკარიერომ ათი ტიტული შეადგინა.

ამ ათიდან ცხრა მას თიხნარსაფარზე მოუპოვებია. წლეულს მან უკვე 37 თიხნარმატჩი გამართა და აქედან 31-ში შეუდარებელი გახლდათ. ასეთი წარმატებული სათიხო სტატისტიკით კი იანვრიდან დღემდე სხვა ვერც ერთი მეჩოგნე ვერ დაიკვეხნის.

და კიდევ — ეს პირველად მოხდა, რაც რომ მან ზედიზედ ორი ტურნირი მოიგო, და ასევე უპრეცედენტოა მის მიერ ტიტულის დაცვის ფაქტიც. სულ მას 23 ფინალი უთამაშია.

ამ ფინალში — აკი მოგახსენეთ — მას უსახელო თვისტომი, დავიდ ფერერი ეწინააღმდეგებოდა, ბიჭი, რომლისთვისაც ეს მხოლოდ მეორე ტურნირი იყო და რომელმაც ინტერესი პირველსავე წრეში წლევანდელი უიმბლდონის ფინალისტის, სეხნია ნალბანდიანის ძლევით მიიპყრო.

ფერერმა მოიას მხოლოდ 73 წუთი გაუძლო, მერე კი მეორე სეტიც დაუთმო და გაეცალა.

საერთოდ, მთელი ტურნირის განმავლობაში ჩემპიონმა მხოლოდ ერთი სეტი წააგო — მეოთხედფინალში, თანამემამულე ფერნანდო ვისენტეს წინააღმდეგ.

„ჰო, ახლა მართლაც არაჩვეულებრივად ვთამაშობ — დამსახურებულად ენამჭევრობდა მოია — უცნაურია, მაგრამ წლეულს სულ ზღვის მახლობლად ვიმარჯვე — აკაპულკოში, ბასტადში და აქაც. შეიძლება ეს იმიტომაც ხდება, რომ თავად მალიორკაზე ვარ დაბადებული და ზღვა ჩემთვის საოცრად მშობლიური სტიქიაა".

„მოგებით კი უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, არა მარტო იმიტომ, რომ ტიტულის დაცვა შევძელი, არამედ იმიტომაც, რომ ჩემპიონთა რბოლაში ოდნავ წინ წავიწიე. ჩემი უმთავრესი მიზანი ხომ სეზონის ბოლოს შანხაიში, მასტერსთასზე მონაწილეობაა, რასაც რბოლაში კიდევ უფრო წარმატებული შედეგები სჭირდება".

**ლევან ბელაშვაძე**

---

**ფედერაციის თასი**

# კალენსი-მაესი ჩვენ არ ვიცით
## ლესბოსელი გრძელ ფეხებს დანებდა

**მეოთხედფინალი**

**სლოვაკეთი — საფრანგეთი 4:1**
**დანიელა ჰანტუხოვა** — ნატალი დეში 7:5, 7:5; **ჟანეტ ჰუსაროვა** — **ამელი მორესმო** 2:6, 6:4, 2:6; **ჰანტუხოვა** — მორესმო 2:6, 6:4, 6:3; **მარტინა სუხა** — დეში 7:6 (7:3), 6:4; **ჰუსაროვა, ჰენრიეტა ნაგიოვა** — დეში, სტეფანი ფორე 7:5, 6:0

**იტალია — ბელგია 4:1**
**რიტა გრანდე** — **ელს კალენსი** 2:6, 1:6; **სილვია ფარინა ელია** — **კაროლინ მაესი** 6:2, 6:1; **გრანდე** — მაესი 6:4, 7:6 (7:5); **ფარინა ელია** — კალენსი 6:2, 7:6 (7:4); **ადრიანა სერა ძანეტი, რობერტა ვინჩი** — ელკე კლაისტერსი, ლორენს კურტუა 7:5, 6:4

**ესპანეთი — გერმანია 5:0**
**მარტა მარერო** — მარტინა მიულერი 6:1, 6:1; **არანჩა სანჩეს-ვიკარიო** — ბარბარა რიტნერი 4:6, 7:6 (7:4), 6:3; **მარერო** — ანკა ბარნა 7:6 (7:2), 2:6, 6:2; **სანჩეს-ვიკარიო** — მიულერი 3:6, 6:2, 6:3; **ვირხინია რუანო პასკუალი, მაგი სერნა** — ბიანკა ლამადე, რიტნერი 6:3, 6:3

**ავსტრია — ხორვატია 4:1**
**ბარბარა შვარცი** — **ივა მაიოლი** 6:2, 6:3; **ბარბარა შეტი** — **ელენა კოსტანიჩი** 6:2, 6:1; **შეტი** — **მაიოლი** 4:6, 3:6; **შვარცი** — კოსტანიჩი 4:6, 6:3, 8:6; **შეტი, პატრისია ვარტუში** — კაროლინა სპრემი, სილვია ტალაია 6:2, 6:1

ბელგიელებს ორი სახელიანი ქალი ჰყავთ — კიმ კლაისტერსი და ჟუსტინ ენენი. სწორედ მათი ბომბღუეტი იყო, შარშან ბელგიას ფედერაციის თასი რომ მოაგებინა. მაგრამ ახლა ერთმაც და მეორემაც ნაკრებს უგანა, სამაგარსაფრო სეზონისთვის გამალებული მზადება მოიმიზეზა და შინ დარჩენა არჩია.

ჰოდა, იმის ნაცვლად, რომ ზეათეულის ორ წარმომადგენელს დაყრდნობოდა, ბელგიელთა კაპიტან ივო ვან აკენს ნაკრებში 84-ე ჩოგნის მქონე ელს კალენსისა და 278-ე კაროლინ მაესის მოხმობა მოუხდა.

მართალია, კალენსმა პირველსავე შეხლაში მასზე მრავალგზის გამოცდილი რიტა გრანდე დაჩოგნა და ჩემპიონებს ნახევარფინალში გაღწევის იმედი აუკიაფა, მაგრამ მომდევნო ოთხ მატჩში აღარავითარი მოულოდნელობა აღარ მომხდარა. სილვია ფარინა ელიამ იმ დღესვე აღადგინა წონასწორობა, კვირას კი მანვე კალენსი, ხოლო გრანდემ მაესი დაარბიეს და საქმის ვითარებაც გაირკვა.

ნახევარფინალში იტალიელები სლოვაკებს უნდა დაეჯახონ, რომელთაც თავის მხრივ ბრატისლავაში 1997 წლის ჩემპიონი ფრანგები ისტუმრეს და ანალოგიური ანგარიშითვე დაჯაბნეს.

მთავარი როლი სლოვაკთა გამარჯვებაში მსოფლიოს მე-12 მეჩოგნემ და გრძელფეხობის ამბავში ანა კურნიკოვას წარმატებულმა მოცილემ, დანიელა ჰანტუხოვამ შეასრულა. პირველ დღეს მან ნატალი დეში დაიმორჩილა, გადამწყვეტ საკვირაო მატჩში კი უიმბლდონის ნახევარფინალისტ ამელი მორესმოს აჯობა.

ეს დაძაბული შეხვედრა იყო და ყველაფერი მესამე სეტში გადაწყდა. შინაური პუბლიკის წინ მოჩოგნავე დანიელა საშინლად ნერვიულობდა და იმდენ შეცდომას უშვებდა, უცილოდ უნდა წაეგო, ლესბოსელ ფრანგს თავადაც ძალითუმრავლესი შეცდომა რომ არ დაეშვა.

კარგად გაირჯა მარტინა სუხაც, ვინაც ფედერაციის თასზე თავის პირველ შეხვედრას თამაშობდა და ეს ისე აუღელვებლად გააკეთა, რომ მასთან მოპაექრე ნატალი დეშის არავითარი კონტრარგუმენტი არ აღმოაჩნდა.

მეორე ნახევარფინალურ წყვილს 5-გზის ჩემპიონი ესპანელები და ავსტრიელები შეადგენენ. პირველები გერმანელებს მზიან-ზმორებიან მალიორკაზე დაუხვდნენ და ისე გადაუარეს, შინ ერთი მოგებაც არ გაუტანებიათ. მასპინძელთაგან ორ-ორჯერ იმარჯვეს სამგზის მეროლანგაროსე არანჩა სანჩეს-ვიკარიომ და მარტა მარერომ. 30 წლის არანჩას ფედერაციის თასზე უკვე 71 (!) გამარჯვება დაუგროვდა.

ავსტრიულ პორტშახში კი ყველაფერი ორი ადგილობრივი ბარბარას, შვარცისა და შეტის ჩაუქმა თამაშმა განსაზღვრა. თუმცა გამორჩევით მაინც ისევ შვარცის ხსენება ხამს, რომელმაც პირველი წრის დარად, სადაც ორი ამერიკელი — მონიკა სელეში და მეგენ შონესი იმსხვერპლა, აქაც ორ მეტოქეს, ივა მაიოლისა და ელენა კოსტანიჩს მოუარა.

ტურნირის ნახევარფინალში ავსტრია 1990 წლის შემდეგ ველარ მოხვედრილიყო.

სხვაფრივ — მსოფლიოს 16-გუნდა ელიტარულ ჯგუფში თავ-თავიანთი ადგილები უპრობლემოდ დაინარჩუნეს წინა წრეში დამარცხებულმა ამერიკელებმა, რუსებმა, არგენტინელებმა, ჩეხებმა, სლოვენებმა, შვედებმა, ავსტრალიელებმა და კოლუმბიელებმა.

ამერიკელებმა სპრინგფილდში ებრაელები მიიღეს და პირწმინდად დაჩაგრეს. მათ შორის გამოირჩა მუხლის ტრავმის გამო აქამდე 9-თვის უთამაშებელი ლინდსი დევენპორტი, რომელმაც შაბათს ანა სმაშნოვას მოუგო 6:3, 6:3, კვირას კი ციფორა ობცილერს — 2:6, 6:1, 7:6 (7:1).

ასეთივე დამაჯერებელი ანგარიშით დასრულდა პეკინში ჩინელებისა და რუსების შეხლა, ოღონდ, სტუმართა სასარგებლოდ — ცხადია.

ავსტრალიელებისა და ჰოლანდიელების დავა მხოლოდ წყვილებმა გაარკვია.


REUTERS სპრინგფილდიდან
ლინდსი დევენპორტი

ეს — 3:2, არგენტინელებმა, რომელთაც როლან გაროსის ნახევარფინალისტი კლარისა ფერნანდესი გაუჩობდა, უნგრელთა ამბიციები დაალექს, ხოლო ჩეხებს კანადელთა შემუსვრა მოუხდათ.

**ლევან ბელაშვაძე**

## ტურ დე ფრანსი 2002

# ვატერლოო მონ ვენტუზე




REUTERS

ლენს არმსტრონგი და ლორან ჟალაბერი

**კვირის** ბოლოს ტურმა მოითავა საქმეები პირინეებში, ერთი დღე ხმელთაშუა ზღვის ნაზი არომატით დატკბა და მკაცრ ალპებს მიაშურა. უკანასკნელი ეტაპების კარდიოგრამა არითმიის იშვიათ ნიმუშს წარმოადგენს, მაგრამ პელოტონმა ყველაფერს კაცურად გაუძლო და მაინცდამაინც დიდი დანაკარგებით არ გამოსულა ამ ზევით-ქვევით სიარულისგან.

ბოლო სამი ეტაპიდან ორი მთის იყო. ერთგანაც და მეორეგანაც ტურის ლიდერმა ლენს არმსტრონგმა კიდევ ერთხელ (უკვე მერამდენედ) დაამტკიცა, რომ მისი წამქცევი ამ შემადგენლობის პელოტონში ნამდვილად არ არის. ერთგანაც და მეორეგანაც კონკურენტების წინააღმდეგობა, ფაქტობრივად, ნულის ტოლი იყო. მერე და მერე მდგომარეობა შეიძლება გამოსწორდეს და მარკო პანტანის ან იან ულრიხის თანამდებობა ვინმემ შეითავსოს, მაგრამ როგორც არ უნდა მოინდომოს, ვთქვათ, ესპანელმა ბელოკიმ, რანაირი მინიმალური სხვაობითაც არ უნდა დათმოს ნებისმიერი ფინიში, ამერიკელის ტოლი და სწორი, სამწუხაროდ, ვერ იქნება. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ტურის სამგზის ჩემპიონმა ერთი ყველაზე მოზრდილი ნაბიჯი უკვე გადადგა მეოთხე ტიტულისკენ. თუმცა, ერთი კი არის, მიუხედავად ასეთი, როგორც ჩემი კოლეგები იტყვიან, „საშინელი" უპირატესობისა, ამ ეტაპებს არმსტრონგისას ვერ დავარქმევ. სხვადასხვა გარემოებათა გამო ერთი მათგანი — ლანამეზან-პლატ დე ბეილი ყველაზე პოპულარული ფრანგის ლორან ჟალაბერის ბენეფისად იქცა, მეორე კი — ლოდევ-მონ ვენტუ ხუთგზის „მთის მეფის", ასევე არანაკლებ პოპულარული ფრანგის რიშარ ვირანკისა. ეს ეტაპები ღირს იმად, რომ იქ მომხდარ ამბებზე ცალ-ცალკე ვილაპარაკოთ. რა თქმა უნდა, ერთ-ორ სიტყვას მეცამეტე ეტაპსაც შევაწევთ.

### მე-12 ეტაპი

ჟალაბერი ჟალაბერი არ იქნებოდა, თუ „მეტი აღარაფერი შემიძლიას" დამღით წავიდოდა დიდი სპორტიდან. იმ დღეს ვეტერანმა ფრანგმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ბებერი ხარის რქანიც ეწევიანო, მით უფრო, თუ ამ ხარს მეტსახელად „ჟაჟა" ჰქვია.

მთაში მარტო გიჟები გარბიან. არ მახსენდება შემთხვევა, როცა მეტ-ნაკლებად ცნობილ სპორტსმენს მარტოს, ყოველგვარი დამხმარე მუშების გარეშე განეზრახოს ხუთმწვერვალიანი ეტაპის დალაშქვრა. არადა, ჟალაბერისა და მისი გუნდის სპორტული დირექტორის, ტურის 1997 წლის ჩემპიონის ბიარნე რიისის ჩანაფიქრის ხორცშესხმას სწორედ ამგვარი ნაბიჯი სჭირდებოდა. ჩანაფიქრი კი საკმაოდ პრეტენზიულია: ლორან ჟალაბერმა ტრიუმფალური თალის ქვეშ მთის მეფის სახელითა და წითელკოპლებიანი მაისურათი უნდა გაიაროს.

მთას ერთი კარგი თვისება აქვს — მდევარი რაოდენობით ვერ დაგჩაგრავს. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ცალკე აღებულ მთას ეხება. როცა გადასალახია მთების ჯაჭვი იქ აღმართ-დაღმართების გარდა სწორი ადგილებიც საკმაოდ არის. აქ კი, რაოდენ გულდასაწყვეტიც უნდა იყოს, რაოდენობა იმარჯვებს კლასზე.

აი, ამიტომ გარბიან მთაში მარტო გიჟები.

ძნელია იმის გადმოცემა, რაც იმ დღეს ხდებოდა, ალბათ არც იმის თქმას აქვს აზრი, როგორ დაიფანტა მდევართა პირველი ჯგუფი პირველივე 13-კილომეტრიანი აღმართის შემდეგ, რა ხელად თქვეს უარი მთის მეფის ტიტულის მთავარმა პრეტენდენტებმა ვირანკმა და პაგანმა თავ-თავიანთ განზრახვაზე, რამენაირად შეეშალათ ხელი ლორან ჟალაბერისთვის. მდევრები დაოკდნენ, წინ მხოლოდ მთები იყო — პორ დასპის, კორისა პორის ულელტეხილები. ჟაჟა მარტო დარჩა — ამ საშინელ აღმართებთან, საკუთარ ფიქრებთან და მინიატიურულ რადიომიმღებთან, რომელიც დროდადრო ბიარნე რიისთან გასაუბრების საშუალებას იძლეოდა. პელოტონი კი საკუთარ ძალაში დარწმუნებული მოიკლაკნებოდა ნაკვალევზე — ბუნტისთავი ადრე თუ გვიან მისი ლუკმა უნდა გამხდარიყო. ვეტერანი ფრანგი კი არა და არ აპირებდა დანებებას. უკან დარჩა მეორე, მერე მესამე მთაც. წითელკოპლებიანი მაისურა ამ წუთებში ფორმალურად სხვას ეცვა, ჟალაბერი კი ფაქტობრივი მფლობელი იყო.

პორის ულელტეხილამდე 50-ზე მეტი კილომეტრი რჩებოდა. ულელტეხილზე ასასვლელი 12-კილომეტრიანი აღმართი სულ 5-პროცენტიანი დახრილობისა იყო, მაგრამ ენერგიის დიდი ნაწილი იქამდე მისასვლელმა გზამ წაიღო. და როცა პორის ულელტეხილიც დანებდა ფრანგს, სრული უფლება და, რაც მთავარია, საშუალება ჰქონდა, ველოსიპედი ხეზე მიეყუდებინა და პელოტონს დალოდებოდა — საქმე მოთავდა, 142 ქულა კი მშვიდად იყო მოყუჩებული ყულაბაში.

დიდი სპორტსმენები ასეთ რაღაცეებს არ კადრულობენ. დიდი სპორტსმენები ბოლომდე იბრძვიან.

ლორან ჟალაბერმა ბოლომდე იბრძოლა იმ დღეს. პლატ დე ბეილის ფინალურ 16-კილომეტრიან აღმართზე, როცა გზა მართლა ცისკენ წავიდა, ისევ გრძელდებოდა უთანასწორო დუელი ერთისა მთელი პელოტონის წინააღმდეგ.

იმ წუთებში ვატერლოო გამახსენდა. ინგლისელებითა და ავსტრიელებით გარშემორტყმული ფრანგების გვარდია — სულით ჩემპიონები არასოდეს ნებდებიან!

### მე-13 ეტაპი

ამ ეტაპის გამარჯვებულის სახელი, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი ეტაპისა, ტექნიკურ შედეგებში წერია. შეჯიბრების ოქმებშიც გარკვევით არის მითითებული გვარი, სახელი, დაბადების წელი, გუნდი, ქვეყანა და ასე შემდეგ. ყველაფერ ამას ტურ დე ფრანსის ისტორია უეჭველად დაიმახსოვრებს. მაგრამ გაიშიფრება კი მომავალში მხოლოდ და მხოლოდ ციფრებით ის, რაც წინა ან თუნდაც ამ მეცამეტე ეტაპზე მოხდა? ციფრებით ნამდვილად ვერა, მაგრამ ჩვენ დავიხსომებთ...

ეს ვაკე-ეტაპი იყო. თერთმეტმა კაცმა გულა-ნაბადი აიკრა და გრძელ, 171-კილომეტრიან გზას დაადგა. მათ შორის იყო წინა ეტაპის გმირიც. ჟალაბერმა გაქცევის მიზეზიცა და საბაბიც პირველივე კილომეტრებზე მოიცილა და ორი შესაძლო გაგრძელებიდან ერთ-ერთი უნდა აერჩია. ან პელოტონს დალოდებოდა, ანდა პასიურად მიყოლოდა გაქცეულებს. ჟალაბერი ჩვეულებრივი ველომრბოლისთვის უცნაურ გადაწყვეტილებას იღებს. ლტოლვილებს კი მიჰყვება, მაგრამ თანაბრად ინაწილებს ყველა გაქცეულის ხვედრს — თავის წილ სამუშაოს ასრულებს ჯგუფის თავში. მართალია, უკვე ფინიშთან ახლოს ვეტერანი კელისთან, მაცოლენისთან და კიდევ რამდენიმე სპორტსმენთან ერთად უსარგებლო ნივთივით მოისროლეს, მაგრამ არასპორტული ამაში არაფერი იყო — ასეთია საფინიშო კანონები.

არ ვიცი, კარგია თუ ცუდი, მაგრამ ვეტერანთა ბენეფისი მომდევნო ეტაპსაც გადაჰყვა.

### მე-14 ეტაპი

ისევ მთა, ამჯერად ერთადერთი, მაგრამ როგორი!

მონ ვენტუ 220 კილომეტრიანი ეტაპის ბოლოს იყო აღმართული. ამ მთაზე გაიმართა შარშანწინ პირველი ნამდვილი ბრძოლა არმსტრონგსა და პანტანის შორის. მაშინ გაიმარჯვა „პირატმა". თუმცა, რაღა მაშინ, მომდევნო მთიანი ეტაპიც უფრო ხელშესახები უპირატესობით კვლავ მარკო პანტანის გამარჯვებით დასრულდა.

ყოველ მთას თავისი ისტორია აქვს. ცხადია, ველორბოლების ისტორიას ვგულისხმობ. მე კარგად მესმის ლენს არმსტრონგისა, რომელსაც უდიდესი სურვილი ჰქონდა, მისი სახელიც დაკავშირებოდა ამ მთას, მით უფრო, რომ მისი ვირტუალური მეტოქეები მერქსისა და ინოს სახით მასპინძლის როლში ხვდებოდნენ წლევანდელი ტურის მონაწილეებს.

არ გამოვიდა. არ გამოვიდა იმიტომ, რომ სხვა გეგმები ჰქონდა მეორე ვეტერან ფრანგს რიშარ ვირანკს. ჟალაბერივით, არც მას უნდოდა ტურის ხელცარიელი დატოვება. „მთის მეფის" ტიტულის ხუთგზის მფლობელი წამით არ დაფიქრებულა, როცა ერთმა ჯგუფმა შეტევა წამოიწყო. მდევრები რვა წუთის დაგვიანებით მიადგნენ მონ ვენტუს, რომლის იერიში ვირანკს კარგა ხნის დაწყებული ჰქონდა. არმსტრონგმა 6(!) წუთით ნაკლები მოანდომა მთის წვერზე ასვლას მაგრამ ცნობილი იგავისა არ იყოს, იქ უკვე ელოდებოდა მეტოქე

**ირაკლი ბერიაშვილი**

### ტექნიკური შედეგები

| | |
|---|---|
| **მე-12 ეტაპი. ლანამეზონი-პლატ დე ბეილი. 198 კმ** | |
| 1. ლენს არმსტრონგი (US პოსტალი, აშშ) | 6 სთ 00 წთ 29 წმ |
| 2. რობერტო ერასი (US პოსტალი, ესპანეთი) | +1 წთ 04 წმ |
| 3. ხოსება ბელოკი („ონსე", ესპანეთი) | +1 წთ 04 წმ |
| **მე-13 ეტაპი. ლაველანი-ბეზიე. 171 კმ** | |
| 1. დევიდ მილარი („კოფიდისი", დიდი ბრიტანეთი) | 4 სთ 08 წთ 18 წმ |
| 2. დავიდ ეჩებერია („ეუსკალტელი", ესპანეთი) | იგივე დრო |
| 3. მიხაელ ბოგარდი („რაბობანკი", ჰოლანდია) | იგივე დრო |
| **მე-14 ეტაპი. ლოდევი-მონ ვენტუ. 220,5 კმ** | |
| 1. რიშარ ვირანკი („დომო", საფრანგეთი) | 5სთ 43 წთ 26 წმ |
| 2. ალექსანდრ ბოჩაროვი (AG2M, რუსეთი) | +1 წთ 58 წმ |
| 3. ლენს არმსტრონგი (US პოსტალი, აშშ) | +2 წთ 20 წმ |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. ლენს არმსტრონგი (US პოსტალი, აშშ) | 56 სთ 51 წთ 39 წმ |
| 2. ხოსება ბელოკი („ონსე", ესპანეთი) | +4 წთ 21 წმ |
| 3. რაიმონდას რუმსასი („ლამპრე", ლიტვა) | +6 წთ 39 წმ |
| **მთის მეფე** | |
| 1. ლორან ჟალაბერი (SCS ტისკალი, საფრანგეთი) | 167 ქულა |
| 2. ლენს არმსტრონგი (US პოსტალი, აშშ) | 114 |
| 3. რიშარ ვირანკი (დომო, საფრანგეთი) | 99 |



GOLDEN LEAGUE — ოქროს ლიგა. მონაკო 19 ივლისი

# რასაც მარიონი გვპირდება, ჟანა უკვე გვანახებს

## გეილ დივერსი ფეხმძიმობას უჩივის



REUTERS მონაკოდან

გეილ დივერსი

**ოქროლიგის** ყოველ მომდევნო ეტაპზე სპეციალისტთა თუ ქომაგთა უმთავრესი ყურადღება ცხადია, 50 კილოგრამი ოქროსთვის მოპაექრე ათლეტებს მიექცევათ, ანუ იმათ, ვინაც ჯერ არც ერთ ოქროლიგურ სარბიელზე არ დამარცხებულან.

მონაკომდე ასეთი ათლეტი მხოლოდ ხუთი იყო და მონაკოს შემდეგ ვითარება არ შეცვლილა — ათ-ათი კილო ოქროს მოხვეჭის შანსს კვლავაც მარიონ ჯონსი (100 მ), გეილ დივერსი (100 მეტრი თარჯრბენი), ანა გევარა (400 მ), ჰიშამ ელ გერუჯი (1 500 მ) და ფელიქს სანჩესი (400 მეტრი თარჯრბენი) ინარჩუნებენ.

მარიონ ჯონსმა ასმეტრობა ისევ უცუდესად დაიწყო და წინ გავარდნილი მეტოქეების დაურვება მხოლოდ ბოლო ათეულებზეღა მოახერხა. თუმცა მსოფლიოს უკრაინელი ჩემპიონის, ჟანა პინტუსევიჩ-ბლოკის მიერ ორი კვირის წინ კრეტაზე ნაჩვენები 10,84-წამიანი შედეგის გასამეორებლად ესეც ეყო.

„ასეთი ცუდი სტარტის მერე 10,84 წამი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ გაცილებით სწრაფი შედეგის ჩვენებაც შემიძლია. მენდეთ, ამას მალე განახებთ კიდეც" — ამბობდა ნარბენევს.

ხოლო სანამ მარიონი გვანახებდეს, მანამდე მასაც და ჩვენც ისევ ჟანას სიჩაუქის ნახვა მოგვიხდა. პინტუსევიჩ-ბლოკმა გუშინ ბელგიურ ჰოისდენცოლდერში გამართულ ისე-რა ტურნირზე იასმეტრა და მარიონს წამის ერთი მეასედით ისევ გაასწრო — 10,83.

ნარბენევს ისიც თავის ცუდ სტარტს უჩიოდა, ხოლო კითხვაზე, თუ როდის უნდა ველოდოთ მისი და მარიონ ჯონსის დაპირისპირებას, მან სავარაუდოდ გვიანაგვისტო, ევროპის ჩემპიონატის მომდევნო პერიოდი დაასახელა.

„დასტურ ვიცი, რომ ბრიუსელში შევიყრებით, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ეს უფრო ადრე, ან ციურიხში ანაც ლონდონში უნდა მოხდეს" — დასძინდა ჟანა.

შეგახსენებთ, რომ ციურიხული ოქროლიგობანა თითქმის ერთი თვის შემდეგ, 16 აგვისტოს მოეწყობა.

ახლა მთავარი პრიზის დანარჩენ მადევართა შესახებ.

გეილ დივერსმა თავისი ზედიზედი მერვე რბენა მოიგო და ამ საქმეს მხოლოდ 12,42 წამი მოახმარა. ნარბენევს კი, ეტყობა, გაახსენდა, რომ 35 წლისაა და დამძიმებულ ფეხებს შემოსწყრა. „რბენის დროს ისე გამიჭირდა, ღმერთს ვთხოვე, ღმერთო, ჩემს მაგივრად ფინიშამდე იქნებ შენ მიხვიდე-მეთქი — მკრეხელობდა მერე — ახლა შინ დავბრუნდები, დასვენება, მტლევები და ჩემს ძაღლუკასთან თამაში მჭირდება".

მექსიკელმა ანა გევარამ სეზონის საკუთარსვე საუკეთესო შედეგს 0,26 წამი ჩაპარსა და 49,25 წამით იამაიკელ ლორენ ფენტონსა და ამერიკელ მაილზ-კლარკს ფინიშთან მთელი ერთი მკერდით მიასწრო. ნარბენევს ისიც შინ დაბრუნებაზე საუბრობდა — მეტი შემიძლია და იქ უფრო მაგრად უნდა მოვემზადოო.

სეზონის საუკეთესო შედეგსვე გამორჩა ჰიშამ ელ გერუჯიც. კილომეტრნახევარი მან 3 წუთსა და 27,34 წამში დაფარა, რაიც ორნახევარი წამით ნაკლებია მის მიერვე პარიზში ნაჩვენებ შედეგზე.

რაც შეეხება დომინიკელ ფელიქს სანჩესს, თავისი წილი თარჯებიანი 400 მეტრი მან 47,86 წამში გაირბინა. ეს კი სრულიად საკმარისი გამოდგა იმისთვის, რათა ფინიშთან პირველს მიერბინა.

სხვაფრივ — რუმინელმა გაბრიელა საბომ 3000 მეტრზე ევროპის რეკორდი დაამყარა. 8 წლის წინ ირლანდიელი სონია ოსალივანის მიერ მომკილ შედეგს მან 0,22 წამი ჩამოაკლო და წამმზომი 8 წუთსა და 21,42 წამზე შეაყენა.

ელ გერუჯისა და ანა გევარას გარდა სეზონის საუკეთესო შედეგები აჩვენეს დანიელმა 800 მეტრზე მორბენალმა უილსონ კიპკეტერმა და კენიელმა მესამიათასმეტრე ბენჯამინ ლიმომ.

ოლიმპიურმა და მსოფლიოს ჩემპიონმა მორის გრინმა კი მონაკოური ასმეტრობა არც ისე წარმატებული 9,97 წამით გაასრულა, რაც წამის მთელი ორი მეათედით ჩამორჩება მისსავე მსოფლიოს რეკორდს.

ამ კვირაში გრინი 28 წლის უნდა შესრულდეს და ნამონაკოევს ისე შინ გამგზავრებას აპირებდა, რათა დაბადების დღე ახლობლების წრეში ეზეიმა.

**ლევან ძიძაურაძე**

| | |
|---|---|
| **ვაჟები** | |
| **100 მეტრი** | |
| 1. მორის გრინი (აშშ) | 9,97 წამი |
| 2. ბერნარდ უილიამსი (აშშ) | 9,99 |
| 3. კიმ კოლინზი (სენტ კიტსი და ნევისი) | 10,13 |
| **400 მეტრი თარჯრბენი** | |
| 1. ფელიქს სანჩესი (დომინიკა) | 47,86 წამი |
| 2. სტეფან დიაგანა (საფრანგეთი) | 48,11 |
| 3. ერიკ თომასი (აშშ) | 48,32 |
| **1 500 მეტრი** | |
| 1. ჰიშამ ელ გერუჯი (მაროკო) | 3.27,34 |
| 2. ბერნარდ ლაგატი (კენია) | 3.27,91 |
| 3. რუი სილვა (პორტუგალია) | 3.30,07 |
| **სამხტომი** | |
| 1. კრისტიან ოლსონი (შვედეთი) | 17,63 მეტრი |
| 2. ჯონათან ედვარდსი (ბრიტანეთი) | 17,59 |
| 3. ალექსანდრ გლავატსკი (ბელარუსი) | 16,84 |
| **ქალები** | |
| **100 მეტრი** | |
| 1. მარიონ ჯონსი (აშშ) | 10,84 წამი |
| 2. ტანია ლოურენსი (იამაიკა) | 10,95 |
| 3. კრისტი გეინსი (აშშ) | 11.00 |
| **100 მეტრი თარჯრბენი** | |
| 1. გეილ დივერსი (აშშ) | 12,42 წამი |
| 2. ბრიჯიტ ფოსტერი (იამაიკა) | 12,57 |
| 3. გლორი ალოზიე (ესპანეთი) | 12,60 |
| **400 მეტრი** | |
| 1. ანა გევარა (მექსიკა) | 49,25 წამი |
| 2. ლორენ ფენტონი (იამაიკა) | 49,30 |
| 3. ჟერლ კლარკ მაილზი (აშშ) | 50,37 |




REUTERS

ჟანა პინტუსევიჩ-ბლოკი

ფორმულა 1. მსოფლიოს ჩემპიონატი მეთერთმეტე ეტაპი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კაცი–იმპერია!

## გერმანულ-იტალიურმა ფენომენმა მსოფლიო დაიპყრო



REUTERS მანი კურიდან

ჩემპიონობა მეხუთედ! მიხაელ შუმახერმა უმთავრესი საფორმულო მიღწევა გაიმეორა

**კვირას** მანი კურის ავტოდრომზე შეკრებილი 110 000 მაყურებელიც და ტელექომაგთა თითქმის ორმილიარდიანი აუდიტორიაც საფრანგეთის დიდი პრიზის გათამაშების პირველივე წუთებიდან მიხაელ შუმახერის ზეისტორიული ტრიუმფის მოლოდინში იყო. 33 წლის „წითელ ბარონს“ საათნახევრიანი რბოლა შესაძლოა, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის რანგში დაესრულებინა, რითაც ლეგენდარული არგენტინელის ხუან მანუელ ფანხიოს რეკორდს გაიმეორებდა.

სხვათა შორის, ბევრი ვარაუდობდა, რომ მიხაელი საფრანგეთში მაინცდამაინც არ მოიკლავდა თავს და მეხუთე ტრიუმფს ერთი კვირით, გერმანიის დიდი პრიზის გათამაშებამდე გადადებდა, რათა ეს ფანტასტიკური მიღწევა სამშობლოში თავის უამრავ უერთგულეს და თავგადაკლულ თანამემამულე ფანთან ერთად ეზეიმა. ამას თავადაც არ მალავდა: „ჩემთვის მთავარი არაა, რომ მიზანს სწორედ მანი კურში მივაღწიო. ვირბოლებ ჩვეულებრივად და თუ ფორტუნა ზურგს შემაქცევს, სულაც არ ვინაღვლებ. პირიქით, გახარებული ვიქნები, თუკი კორონაცია მშობლიურ „ჰოკენჰაიმრინგზე“ შედგება“.

თავიდან ყველაფერი შუმის გეგმით მიდიოდა, მაგრამ ზედ ფინიშის წინ საქმეში შემთხვევა ჩაერია და მოვლენების განვითარება დააჩქარა...

შაბათის კვალიფიკაციაზე სათქმელი ბევრი არაფერია. ხუან პაბლო მონტოიამ ისე შეგვაჩვია ფეთიან ჯირითს, რომ მისი ზედიზედ მეხუთე პოული არავის გაჰკვირვებია. 26 წლის კოლუმბიელმა მეტოქეებს მორიგი საკვალიფიკაციო ბრძოლა ტრასის მორიგი რეკორდით მოუგო და სტარტზე ამჯერადაც ყველაზე წინ, მომგებიან პოზიციაზე იმყოფებოდა, მაგრამ ცნობილი ანეკდოტისა არ იყოს, გამაადგარო? ხუანმა ერთხელაც ვერ შეძლო ამ მნიშვნელოვანი ფორის გამოყენება და კვლავ უხეირო შედეგი აჩვენა.

მონტოიამ „მანი კურის“ 4,2-კილომეტრიანი წრე ბოლო, მეოთხე ცდაზე ერთ წუთსა და 11,985 წამში გაიქროლა (212,6 კმ/სთ სიჩქარით), რაც შოტლანდიელ დევიდ კულჰარდის შარშანდელ რეკორდს ოთხი წამით(!) სჯობს. მიხაელი ხუანს წამის 23 მეათასედით ჩამორჩა. მეორე რიგში იდგნენ რუბენს ბარიკელო და კიმი რაიკონენი, მათ უკან რალფ შუმახერი და დევიდ კულჰარდი.

ორი კვირის წინ ოთხ მილიონდოლარიანი ვალის დაფარვის მიუხედავად, „ეროუსს“ ისევ აწუხებს ფინანსური პრობლემები, რის გამოც „ნარინჯისფერებს“ საფრანგეთში ასპარეზობის საშუალება არ ჰქონდათ. მაგრამ სტარტზე გაუსვლელობა უარეს მატერიალურ სანქციას გამოიწვევდა, ამიტომ იეშმაკეს — ენრიკე ბერნოლდიმ და ჰაინც-ჰარალდ ფრენცენმა შაბათს თითო საკვალიფიკაციო წრე გაიარეს დაბალი სიჩქარით, ცხადია, 107-პროცენტიან ლიმიტში ვერ „ჩაჯდნენ“ და გულდამშვიდებულებმა დატოვეს ავტოდრომი. ჯანკარლო ფიზიკელას სერიოზული ავარია შეემთხვა და ექიმებმა ასპარეზობის ნება არ დართეს. ამრიგად, რბოლა 19 პილოტს უნდა დაეწყო, მაგრამ გასახურებელ წრეზე თავისი სისხლისფერი ბედაურის გაჯიქების გამო ბარიკელოც გამოაკლდა მონაწილეებს (წლეულს უკვე მესამედ).

მონტოიამ სტარტზე ლიდერობა შეინარჩუნა და პირველ მოსახვევში მიხაელს ოდნავ შეასწრო. მათ მიჰყვნენ რაიკონენი, რალფ შუმახერი, კულჰარდი, დევიდ ბატონი... თავიდანვე სარეკორდოდ შეთხელებულ ქარავანში ბოლიდები თვინიერად მისდევდნენ ერთმანეთს კუდში. გზის თითქმის მესამედი ისე გაილია, ექვსეულში ერთი ცვლილებაც არ მომხდარა. მიხაელი არც ძალიან უშვებდა წინ მონტოიას და არც აგრესიულად უტევდა — ერთადერთხელ სცადა გასწრება, მაგრამ რაკი ცდა უშედეგო აღმოჩნდა, აღარ გაუმეორებია.

საკმაოდ ერთფეროვანი ასპარეზობა პიტსტოპებმა და იქიდან გამოსვლისას დაშვებულმა მარტივმა შეცდომებმა გაახალისა. ტრასაზე დაბრუნებამდე აკრძალულია უსაფრთხოების თეთრი, გამყოფი ხაზის ოდნავ გადაკვეთაც კი, რაც პიტლაინზე დაბალი სიჩქარით გასეირნებით, ანუ თითქმის 15 წამით ისჯება. უბრალო უყურადღებობის გამო ამ მარტივი წესის დარღვევამ ოთხი პილოტი აზარალა, მათ შორის მიხაელიც. ჩემპიონის „ფერარიმ“ ჯადოსნურ ხაზს რამდენიმე სანტიმეტრით „დააბიჯა“, მაგრამ, ცხადია, ესეც დანაშაულია და შედეგად მონტოიას და რაიკონენის უკან აღმოჩნდა ორწამიანი ჩამორჩენით. ამავე მიზეზით დაზარალდნენ კულჰარდი, რალფ შუმახერი და ფელიპე მასაც.

უხეიროდ, თითქმის 12-წამიანი საბოქსე შეყოვნების შემდეგ მონტოია მეოთხე ადგილზე გადავარდა და ლიდერობა ვუნდერკინდმა რაიკონენმა იგდო ხელთ. 22 წლის ფინელმა ზუსტად მიხაელისნაირი, 8,7-წამიანი პიტსტოპით შეინარჩუნა თავისი უმცირესი, სულ რაღაც ასმეტრიანი უპირატესობა და ორწლიან კარიერაში პირველი გამარჯვებაც თითქმის გარანტირებული ჰქონდა, რადგან ფინიშამდე, მართალია, ჯერ ძალიან ბევრი, ოცი წრე იყო გასასვლელი, მაგრამ ჩემპიონი არც აპირებდა იერიშის მიტანას, ეტყობა ჰოკენჰაიმში ტრიუმფზე ფიქრობდა.

კვანძი მოულოდნელად, რბოლის ბოლომდე ოცოდე კილომეტრით ადრე გაიხსნა. რაიკონენს ბოლიდი ალან მაკნიშის „ტოიოტადან“ დაღვრილ ზეთზე მოუსრიალდა, ტრასიდან გაექცა და ძლივს შესძლო საჭის დამორჩილება. შუმახერმა ის მოსახვევი მშვიდობიანად გაიარა და ფინელზე წინაც აღმოჩნდა, მაგრამ ეს ისე უცებ მოხდა, რომ მანქანები კინაღამ ერთმანეთს შეეჯახნენ.

მიხაელმა ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა და მაშინვე ზღვა სიხარულმა იფეთქა: ცინცხალმა ხუთგზის ჩემპიონმა თავისი „ფერარი“ ლამის ტრასაზე ააცეკვა და თავში მუშტებიც კი წაიშინა. კოკპიტიდან ამოსულს პირველი, ცხადია, „სკუდერიის“ გენერალური დირექტორი ჟან ტოდტი ჩაეხუტა და ორივენი ცოტა აცრემლდნენ კიდეც. „ფერარის“ მთელი შემადგენლობა და მათ შორის მყოფი მიხაელის საკმაოდ მოსუქებული მეუღლე კორინაც სიხარულით მეცხრე ცაზე იყვნენ.

— მსგავს ვითარებაში საჭირო სიტყვებს ვერასოდეს ვპოულობ. არ მეგონა, თუ ხუთგზის ჩემპიონი აქ, საფრანგეთში გავხდებოდი, ამიტომ არავითარ დაძაბულობას არ ვგრძნობდი. მაგრამ როცა ფინიშამდე ოთხი წრით ადრე მოულოდნელად ლიდერი გავხდი, ბოლო კილომეტრები უმძიმესი აღმოჩნდა. ეს უსასრულო წრეები ჩემს ცხოვრებაში ყველაზე რთული იყო — განაცხადა მიხაელ შუმახერმა „ცხელ გულზე“, ტოდტთან ერთად პოდიუმზე შამპანურით წუწაობის შემდეგ.

მომავალ კვირას „ჰოკენჰაიმრინგზე“ რბოლა კი შუმის გერმანელი გულშემატკივრებისთვის ერთი ჩვეულებრივი, რიგითი ეტაპი იქნება.

**გია ახალაძე**

### რბოლის შედეგები

**საფრანგეთის დიდი პრიზი**
21 ივლისი. მანი კური
დისტანცია 72 წრე — 306,072 კმ

| | |
|---|---|
| 1. მ. შუმახერი (ფერარი) | 1:32.09,637 (199,137 კმ/სთ) |
| 2. რაიკონენი (მაკლარენი) | ჩამორჩა 1,105 |
| 3. კულჰარდი (მაკლარენი) | 31,976 |
| 4. მონტოია (უილიამსი) | 40,676 |
| 5. რ. შუმახერი (უილიამსი) | 41,773 |
| 6. ბატონი (რენო) | 1 წრით |
| 7. ჰაიდფელდი (ზაუბერი) | 1 წრით |
| 8. ვებერი (მინარდი) | 1 წრით |
| 9. დე ლა როსა (იაგუარი) | 2 წრით |
| 10. იონგი (მინარდი) | 4 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| 11. მაკნიში (ტოიოტა) | გაიარა 65 წრე |
| ირვაინი (იაგუარი) | 53 |
| ტრული (რენო) | 50 |
| მასა (ზაუბერი) | 49 |
| სალო (ტოიოტა) | 49 |
| ვილნევი (BAR) | 36 |
| პანი (BAR) | 30 |
| სატო (ჯორდანი) | 24 |
| ბარიკელო (ფერარი) | 0 |
| ფიზიკელა (ჯორდანი) | ტრავმა |
| ბერნოლდი (ეროუსი) | რბოლაში არ დაუშვეს (107%) |
| ფრენცენი (ეროუსი) | რბოლაში არ დაუშვეს (107%) |

**საუკეთესო წრე**

კულჰარდი 1.15.045 (203,925 კმ/სთ)

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | ავსტრალია 3 მარტი | მალაიზია 17 მარტი | ბრაზილია 31 მარტი | სან მარინო 14 აპრილი | ესპანეთი 28 აპრილი | ავსტრია 12 მაისი | მონაკო 26 მაისი | კანადა 9 ივნისი | ევროპა 23 ივნისი | დ.ბრიტანეთი 7 ივლისი | საფრანგეთი 21 ივლისი | გერმანია 28 ივლისი | უნგრეთი 18 აგვისტო | ბელგია 1 სექტემბ. | იტალია 15 სექტემბ. | აშშ 29 სექტემბ. | იაპონია 13 ოქტომბ. | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ. შუმახერი (ფერარი, გერმანია) | 10 | 4 | 10 | 10 | 10 | 10 | 6 | 10 | 6 | 10 | 10 | | | | | | | 96 |
| 2 მონტოია (უილიამსი, კოლუმბია) | 6 | 6 | 2 | 3 | 6 | 4 | – | – | – | 4 | 3 | | | | | | | 34 |
| 3 ბარიკელო (ფერარი, ბრაზილია) | – | – | – | 6 | – | 6 | – | 4 | 10 | 6 | – | | | | | | | 32 |
| 4 რ. შუმახერი (უილიამსი, გერმანია) | – | 10 | 6 | 4 | – | 3 | 4 | – | 3 | – | 2 | | | | | | | 32 |
| 5 კულჰარდი (მაკლარენი, დ. ბრიტანეთი) | – | – | 4 | 1 | 4 | 1 | 10 | 6 | – | – | 4 | | | | | | | 30 |
| 6 რაიკონენი (მაკლარენი, ფინეთი) | 4 | – | – | – | – | – | – | 3 | 4 | – | 6 | | | | | | | 17 |
| 7 ბატონი (რენო, დ. ბრიტანეთი) | – | 3 | 3 | 2 | – | – | – | – | 2 | – | 1 | | | | | | | 11 |
| 8 ფიზიკელა (ჯორდანი, იტალია) | – | – | – | – | – | 2 | 2 | 2 | – | – | – | | | | | | | 6 |
| 9 ჰაიდფელდი (ზაუბერი, გერმანია) | – | 2 | – | – | 3 | – | – | – | – | 1 | – | | | | | | | 6 |
| 10 ტრული (რენო, იტალია) | – | – | – | – | – | – | 3 | 1 | – | – | – | | | | | | | 4 |
| მასა (ზაუბერი) — 4, ირვაინი (იაგუარი), ვილნევი (BAR) — 3, ვებერი (მინარდი), სალო (ტოიოტა), ფრენცენი (ეროუსი), პანი (BAR) — 2 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 ფერარი | 10 | 4 | 10 | 16 | 10 | 16 | 6 | 14 | 16 | 16 | 10 | | | | | | | 128 |
| 2 უილიამსი | 6 | 16 | 8 | 7 | 6 | 7 | 4 | – | 3 | 4 | 5 | | | | | | | 66 |
| 3 მაკლარენი | 4 | – | 4 | 1 | 4 | 1 | 10 | 9 | 4 | – | 10 | | | | | | | 47 |
| 4 რენო | – | 3 | 3 | 2 | – | – | 3 | 1 | 2 | – | 1 | | | | | | | 15 |
| 5 ზაუბერი | – | 3 | – | – | 5 | – | – | – | 1 | 1 | – | | | | | | | 10 |
| ჯორდანი — 6; BAR — 5; იაგუარი — 3; მინარდი — 2; ტოიოტა — 2; ეროუსი — 2 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | |



REUTERS

# მიღწევა და მოლოდინი

სკუტერს, ჩვენებურად „სამაკატს“, ანუ თვითგორიას შემოხტომია მიხაელ შუმახერი, რომელიც ამ უქმეებზე ვადამდე ბევრით ადრე შეიქნა ფორმულის მსოფლიო ჩემპიონი, თანაც მეხუთედ და თანაც ისე, რომ ამ ხუთჯერადი ტიტულით გაუტოლდა დიადი არგენტინელის ხუან მანუელ ფანხიოს ძველ მიღწევას. მანი კურის ტრასაზე შუმიმ კვლავაც ყველა დაჯაბნა. ვინ ებრძოდა წლეულს მიხაელს და, ფორმულის დებიუტანტი, კოლუმბიელი ხუან პაბლო მონტოია, რომელმაც კვალიფიკაცია ამჯერადაც მოიგო, რბოლა კი დიად გერმანელს დარჩა. მერე რა? კონი მაინც კოცნის თავის მიჯნურს. ხუანიტო-პაბლიტოს ხომ ყველაფერი წინა აქვს.



REUTERS

# სლოვაკთა სიხარული

ხარობს სლოვაკ ქალთა საჩოგბურთო ნაკრები. ფედერაციის თასის მეოთხედფინალში სლოვაკებს ფრანგები დაუმარცხებიათ, ჯამური ანგარიშით 4:1. ბოლო ნაბიჯი მარტინა სუხას (მარცხნიდან მეორე) მიერ ნატალი დეშის ორ სეტში ძლევა ყოფილა. სუხას მხარდამხარ ნახევარფინალში იბრძოლებენ (მარცხნიდან) პენრიეტა ნაგიოვა, ყანეტ პუსაროვა და დანიელა პანტუხოვა.



REUTERS

# მაინც

პოპენშტაინის ტრასაზე 250 კუბურსანტიმეტრიან მოტოთა გერმანიის დიდი პრიზი გათამაშდა და არცთუ უხიფათოდ: რბოლა წვიმამ შეწყვიტა. სწორედ წვიმამ წააქცია იტალიელი მარკო მილანდრი, რომელმაც, ნუ გაგიკვირდებათ და, დიდი პრიზი მაინც მოიპოვა, რადგან წაქცევამდე სწორედ ის ლიდერობდა რბოლას, ავარიისთანავე კი შეჯიბრი შეწყდა.



REUTERS

# ესეც ნახტომი

გამარჯვება და თავუკუღმა ნახტომი. უნგრელი აკოშ ვერეკეი თავისი ნიჩბითა და კანოეთი პირველი მიცურდა ფინიშთან და ევროპის ჩემპიონობაც დაირტყა 500 მეტრის სიგრძის ტრასაზე. შეჯიბრი კი მის სამშობლოში, სეგედის ტბაზე მიმდინარეობდა.



REUTERS


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია აზალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge